# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 აგვისტო, 2012 წელი.

№154 (7030)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge    ვებ გვერდი: www.open.ge    ფასი 50 თეთრი.


## ახალი შალიკო ხვინგიაძე,



### ანუ ბარონ მიუნჰაუზენის სინდრომი – ფოთში გამოჩენილი სიმამაცე

②

## „...ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ!“



**20 წელიწადი** გავიდა აფხაზეთში ტრაგიკული სამოქალაქო დაპირისპირებიდან. რუსეთის მიერ ინსპირირებული კონფლიქტი ქართველთა და აფხაზთა ძმათამკვლელ ომად იქცა და ორივე მხრიდან ათეულ ათასობით ჯარისკაცის, მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა... 300 000-ზე მეტი ადამიანი საკუთარი სახლ-კარიდან გამოყარეს და დევნილად აქციეს. მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 2008 წლის აგვისტოში, როცა „მშვიდობისმყოფელი“ რუსული არმია საქართველოში შემოიჭრა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სრული ოკუპაცია მოახდინა და კრემლმა ძირძველ ქართულ მიწა-წყალზე ჯუჯა სახელმწიფოების დამოუკიდებლობა გამოაცხადა!

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მომავალი ერთობ ბუნდოვანია, ვიდრე პუტინის იმპერიული ამბიციები არ დამცხრალა და ვიდრე სააკაშვილი საკუთარ ხალხს ატყუებს – რუსეთში მალე ისეთი რამე მოხდება(!), დაკარგულ ტერიტორიებს აუცილებლად დავიბრუნებთო! დასავლეთის „დახმარება“ კი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის იქით ვერ მიდის!..

ჯერჯერობით ისღა დაგვრჩენია, რომ ლოცვა გავაძლიეროთ და უფალს ვთხოვოთ საქართველოს გადარჩენა-გამთლიანება.

## „არ აპირებენ უკანონოდ დაკისრებული ჯარიმის გადახდას“...

③

## ზურაბ აბაშიძე: პუტინის უკანასკნელ განცხადებას ფრიად სახიფათო სიმპტომად მივიჩნევ

④




## საქართველოში სურსათის ფასები იზრდება

⑤



## „შავფაროსნები“ დიდგორის ველზე მოქალაქეების შეუშვებლობას აპროტესტებენ

④

შავფაროსნები
BLACKSHIELDERS

◎ ღმერთო, გვიშველე!



# ახალი შალიკო ხვინგიაძე,

## ანუ ბარონ მიუნჰაუზენის სინდრომი – ფოთში გამოჩენილი სიმამაცე

**ღრუბელ-ღრუბელ მივფრინავდით და რუსები მოგვდევდნენ,“ – აგვისტოს ომიდან ოთხი წლის თავზე ასეთი მნიშვნელოვანი დეტალით შეავსო თავს გადახდენილი საომარი ისტორიები ახალციხეში მყოფმა პრეზიდენტმა.**

ამას უკვე მოჰყვა ქართული საზოგადოების შეფასებები. უშიშროების ყოფილი მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტი ცდილობს, გმირულ საგად გაასაღოს ის ფაქტი, სადაც მან ყველაზე მეტად შეირცხვინა თავი. სხვა პოლიტიკოსები კი აცხადებენ, რომ ფოთის გმირული ისტორია დამაჯერებლობას მოკლებულია. ვინც მიხეილ სააკაშვილის ბუნებას იცნობს, მან იცის, რომ თავს გადახდენილ საარაკო ამბებს მიხეილ სააკაშვილი ოთხი წლის მანძილზე უთქმელად ვერ შეინახავდა და საზოგადოებას უმალვე ამცნობდა. ისევე, როგორც არ მორიდებია ერთი დელიკატური საკითხის მთელ მსოფლიოში აფიშირებას – რომ ვლადიმერ პუტინი მისი სხეულის ნაწილებით იყო დაინტერესებული.

**„მახსოვს, ავფრინდით, მივფრინავდით ღრუბლებში, დამალულები, ყველა მხრიდან რუსული თვითმფრინავები დაფრინავდნენ, ცა იყო გადაკეტილი, ასე, ღრუბელ-ღრუბელ მალვით, როგორც იქნა, ჩავფრინდით ფოთში და დავიწყე გამოსვლა პირდაპირ ეთერში. რუსებმა რომ დამინახეს პირდაპირ ეთერში, მოასხდნენ რამდენიმე ათეულ ბეტეერს და წამოვიდნენ ჩემს დასაჭერად. ამ დროს გადაუდგა მათ ფოთის შესასვლელთან ადგილობრივი პოლიციის რაზმი. რუსებს თან ახლდათ ერთი ქართველი, ქართულად მოლაპარაკე სუბიექტი, ყოველთვის ისინი ამზადებენ ხოლმე მეხუთე კოლონას, მე-11 არმიის პროტოტიპებს და ამ ქართველმა უთხრა ჩვენს პოლიციელებს, ნუ გეშინიათ, ჩვენ ფოთში შევალთ, ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი ადამიანი, არავის არაფერს არ დავუშავებთ. ამ პოლიციელმა უპასუხა, ამ შემთხვევაში, ის ერთი ადამიანი არის საქართველო“,** – ასეთია პრეზიდენტის მონათხრობი, რომელიც მას 28 აგვისტოს ფოთში ჩასვლისას გადახდა, როცა იგი საოკუპაციო ჯარისგან გარშემორტყმულ ფოთში ხალხის გასამხნევებლად ჩაფრინდა. იმ დროს, მართლაც, რუსებს 33 დღის მანძილზე ეკავათ ფოთი და მხოლოდ 14 სექტემბერს გავიდნენ ქალაქიდან.

მართალია, პრეზიდენტმა აქვე განმარტა, რომ იგი ისე არ გაკადნიერდება, რომ საკუთარი მოკრძალებული პიროვნება საქართველოსთან გაიგივოს, მაგრამ დააზუსტა, რომ ომის დროს საუბარი იყო ეროვნულ სიმბოლოებზე, რომ მათთვის (რუსებისთვისძ საქართველოს მთავრობის ფიზიკური განადგურება საქართველოს დამონებისა და ფეხქვეშ გათელვის სიმბოლო იყო, რაც ახლაც ასეა. ამდენად, რუსები ვერ ჩათვლიან თავს გამარჯვებულად, სანამ საქართველოს იგივე მთავრობა ჰყავს.

For.ge დაინტერესდა, აგვისტოს ომიდან ოთხი წლის თავზე რატომ დასჭირდა პრეზიდენტს მივიწყებული, თითქოსდა, სამუდამოდ დავიწყებული დეტალების გახსენება?!

„რესპუბლიკელი“ ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა პრეზიდენტი არარსებულ ფაქტებს „იხსენებს“. ამის დასტურად ლევან ბერძენიშვილს კიდევ ერთი შემთხვევა ახსენდება, როცა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ 2003 წლის 23 ოქტომბერს ბათუმში იმყოფებოდა.

**„ეს უკვე დადასტურებული, ძალიან სერიოზული ტყუილია. ეს ის დღეა, როდესაც ოპოზიციის წევრები ასლან აბაშიძის ხელისუფლებამ საშინლად სცემა და სიკვდილის პირას მიიყვანა. იმ დროს მიხეილ სააკაშვილი ქუთაისში იმყოფებოდა, მაგრამ მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, მას შერცხვა და დაიწყო მოყოლა, თითქოს როგორ შევიდა ქალაქ ბათუმში, როგორ აჭამეს საიდუმლოდ აჭარული ხაჭაპური და ა.შ. სინამდვილეში, იმ დროს ბათუმში არ შესულა, ეს დანამდვილებით ვიცი. რაც შეეხება ფოთს, რა თქმა უნდა, ესეც ტყუილია, რადგან მან ბოლოს თქვა, თითქოს პირდაპირ ეთერში მიმართა მოსახლეობას. არადა, არავითარი პირდაპირი ეთერით გამოსვლა არც ფოთიდან და არც სადმე სხვა ადგილიდან, იმ დღეს არ ყოფილა. ასე რომ, ეს არის უბრალოდ ტყუილი. ეს არის ტყუილი ადამიანისა, რომელსაც საკუთარი საქციელის გამო რცხვენია, მაგრამ არ შეუძლია, იმ დღესვე მოიგონოს ტყუილი, რადგან ამისთვის მას დრო სჭირდება. დროის გასვლა აუცილებელია, რათა ხალხს რაღაცეები დაავიწყდეს. ამიტომ ესაჭიროება ახალი ნდობა, ახალი რეიტინგი. მაშინვე, იმ დროსვე რომ ეთქვა, რა თქმა უნდა, ტყუილს არავინ დაიჯერებდა, მაგრამ, ახლა ჩათვალა, რომ საკმარისი დრო გავიდა, რომ ყველაფერი დაგვიწყებოდა. თუმცა, ვისაც არ დაგვავიწყდა, ეს არაფრად მიაჩნია, ახალი თაობა ჰყავს შეკრებილი და მათ ატყუებს“,** – აცხადებს ლევან ბერძენიშვილი.

მისი თქმით, პრეზიდენტის მონათხრობის მიუხედავად, ამ ამბავში გმირობის ვერავითარ ნიშანწყალს ვერ ხედავს. მეტიც, ლევან ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ სააკაშვილი პირველი ქართველი პრეზიდენტი არ არის, რომელიც ტყუის სერიოზულ საკითხებზე.

**„ეს უკვე მესამე ქართველი პრეზიდენტია, რადგან არ მახსოვს პრეზიდენტი, რომელიც ასეთ საკითხებში არ გვატყუებდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტებს ჩვევად ექცათ ტყუილების ლაპარაკი. თუმცა თავისი ვაჟკაცობის დამადასტურებელი ტყუილების თქმა ახასიათებს მარტო მიხეილ სააკაშვილს. შევარდნაძე ტყუოდა, რომ დემოკრატია შეუყვარდა, ზვიადი ტყუოდა, რომ ზუსტად იცოდა, ვინ იყვნენ კრემლის აგენტები, მაგრამ ტყუილი, რომელიც აგებულია იმაზე, რომ მე ვაჟკაცი ვარ და თქვენ ვერ ხედავთ და დამაფასეთ, ახასიათებს მარტო მხდალ ადამიანებს. ასეთი კი ჩვენს პრეზიდენტებში მხოლოდ ერთია,“** – გვითხრა ლევან ბერძენიშვილმა.

ექსპერტს პოლიტიკურ საკითხებში რამაზ საყვარელიძეს პრეზიდენტის გამოსვლა რეალურად არ მიაჩნია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ახსოვს, თუ რა მოხდა გორში თვითმფრინავის დანახვისას. მეტიც, ექსპერტი მიიჩნევს, რომ, ალბათ, მოსახლეობის უმრავლესობაში ზუსტად გორის კადრი აჩენს შეკითხვებს. ამ კითხვების შემდეგ კი იწყება დაზუსტება, როდის იყო მიხეილ სააკაშვილი ფოთში, საერთოდ იმყოფებოდა თუ არა ფოთში.

**„თუ არ ვცდები, ფოთში ჩასვლა საკმაოდ მოგვიანებით მოხდა საიმისოდ, რომ იქ რუსებისგან საფრთხე ჰქონოდა. ეს იყო აგვისტოს ბოლოს. 28 აგვისტოს კი იქ უკვე რუსების საფრთხე არ იყო. ასე რომ, მე მგონი, პრეზიდენტს, ალბათ, თარიღები შეეშალა,“** – ასკვნის რამაზ საყვარელიძე.

ამასთან, სააკაშვილი ზოგადი ხასიათისა და მისი რიტორიკის გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს ძალიან ხშირად აქვს ისეთი მომენტი, როცა ლამაზი სურათის დახატვისას ფანტაზია არ ენანება ხოლმე. მეტიც, მას უყვარს ასეთი ლამაზი სურათების დახატვა.

ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში სოსო ცისკარიშვილი ეთანხმება იმ აზრს, რომ პრეზიდენტის მიერ ფოთის დრამატული ამბების გახსენებამ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

**„ალბათ, ამ საკითხთან მიმართებით, შეფასებებიც განსხვავებულია, რადგან, ერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება მიანიშნებდეს პრეზიდენტის გულმავიწყობას, როდესაც ოთხი წლის მანძილზე არ გახსენებია ეს ფაქტი; მეორე მხრივ, ბარონ მიუნჰაუზენის გარკვეული სინდრომის ნიშნებსაც შეიცავს. ასეა თუ ისე, მადლობა ღმერთს, რომ სააკაშვილმა მშვიდობიანად ჩააღწია ფოთში, მიუხედავად იმისა, მისდევდა ვინმე თუ არა, და შინაც მშვიდობით დაბრუნდა“,** – აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

სამხედრო ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი კი მიიჩნევს, რომ გმირობის ფაქტები თავად საზოგადოების შესაფასებელია, და არა – თავად კონკრეტული პიროვნებისა, რომელიც საკუთარ თავს მამაცურად წარმოაჩენს.

**„რა ვუთხარი ისეთ ადამიანს, რომელიც საკუთარ თავზე ლეგენდებს ქმნის და მითებს ყვება ოთხი წლის მერე. თუ ვინმე ქვეყანაში გმირია, ის ხალხმა უნდა დაინახოს და ხალხმა შეაფასოს და არა ის, რომ დადგეს კაცი და საკუთარ თავზე იძახოს, გმირი ვარ, გმირი ვარო. რაც არის სააკაშვილი, ჭირსა და ლხინში, ყველას საკუთარი თვალით აქვს ნანახი და, სამწუხაროდ, საკუთარ ტყავზე აქვს გამოცდილი. ასე რომ, დღესდღეობით ამ ბაქი-ბუქობით, მე ვფიქრობ, სააკაშვილი საკუთარ თავს უფრო ვნებს. მისი აზროვნება, პიარის გარდა, ვერაფერს წვდება. მას ჰგონია, რომ მხოლოდ პიარით არის შესაძლებელი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება“,** – გვითხრა ირაკლი სესიაშვილმა.

მან აქვე განმარტა, რომ სააკაშვილს მაინცდამაინც ოთხი წლის თავზე ამ ამბის გახმიანება იმისთვის დასჭირდა, რომ, პოლიტიკური თვალსაზრისით, მას საკმაოდ რთულად აქვს საქმე, ამიტომ ყველაფერზე მიდის, რათა როგორმე თავი წარმოაჩინოს, როგორც განსაკუთრებულმა პრეზიდენტმა და პირმა.

**მარიამ ლოლაშვილი**

◎ ერიჟა!

# საერთო-სახალხო დღესასწაული თუ მხოლოდ ნაცმოძრაობის ზეიმი?!

## პოლიტიკური „დიდგორობა 2012“

**„დიდგორობა 2012“ გუშინწინ თეთრიწყაროს რაიონში დიდგორის ველზე გაიმართა. წითელი და თეთრი მაისურიანი ახალგაზრდები ავტობუსებით და სამარშუტო ტაქსებით დიდგორის ველზე მიიყვანეს. მათ მაისურზე ეწერათ „მე მიყვარს საქართველო“, მარჯვენა მკლავზე – 5. ახალგაზრდები რუსთავიდან და რაიონებიდან ორგანიზებულად ჩამოიყვანეს. მათი ტრანსპორტირება კი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს.**

რუსთავის მერიის წინ დილის 8:05 გადავიღეთ ავტობუსები და სამარშუტო ტაქსები, რომლებთანაც „ნაციონალური მოძრაობის“ მაისურიანი მოქალაქეები იკრიბებოდნენ. დაახლოებით 3 საათში კი იგივე სანომრე ნიშნით ავტობუსი დიდგორის ველს მიადგა.



თვითმხილველების თქმით, ასეთივე სიტუაცია იყო მარნეულის და თეთრიწყაროს რაიონებშიც. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომლიც ამავე დროს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, მხარდამჭერების მობილიზება მოახდინეს და ღონისძიებაზე ავტობუსებით ჩამოიყვანეს.

„დიდგორის ველზე“ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებმა საკუთარი რაიონის სტენდებთან, მათი მუნიციპალიტეტის მახასიათებელი ტრადიციული ნივთები გამოფინეს. ადგილობრივმა საცეკვაო ანსამბლებმა ტრადიციული ცეკვები შეასრულეს, გაიმართა ჭიდაობაც.

ღონიძიებით უკმაყოფილოები დარჩნენ ცხენოსნები. მათი თქმით, დოღის ჩატარებაზე ორგანიზატორებმა უარი უთხრეს. ცხენოსნები „დიდგორის ველის“ მოპირდაპირე მთასთან ჯირითით ირთობდნენ თავს და ცხენების მადევარ ძაღლებს იგერიებდნენ.

**„რა დიდი სანახავი ეგაა. ჩავიდე არა, მეტი საქმე არა მაქვს“** – პასუხობდა ცხენოსანი თანმხლებს, რომელიც ხელით აჩვენებდა პრეზიდენტის ვერტმფრენს. სააკაშვილი დიდგორის ველის ხელმარჯვნივ მდებარე გორაზე დაფრინდა. ცხენოსნები სააკაშვილის დასახვედრად მთიდან არ დაძრულან.

ხუთ წუთში გაისმა სკანდირება „მიშა! მიშა!“. პრეზიდენტმა შეკრებილებს განუცხადა, რომ მიზანს ნებისმიერ ფასად მიაღწევს. სააკაშვილი დაახლოებით 20 წუთი დარჩა ღონისძიებაზე და ისევ ვერტმფრენით დატოვა დიდგორი.

ამასობაში მწვადები შეიწვა და რამდენიმე სუფრა ერთბაშად გაიშალა.

**„ჩვენ გენაცვალე, თვითონ ავკრიფეთ ფული და ვიყიდეთ ეს პროდუქტი“,** – გვიხსნის ხუთნომრიან მაისურიანი ახალგაზრდა. თუმცა, დიდგორის ველზე გამართულ სახალხო ნადიმზე ტელეკომპანია „მაესტროს“ განსხვავებული ინფორმაცია მიაწოდა პარტიის რუსთაველმა სახემ.

რუსთავის საკრებულოს წევრმა, კარლო (კახაძ ჩხაიძემ ჩვენ კოლეგებს განუცხადა, რომ პროდუქტს პარტიის მხარდამჭერებს აბსოლუტურად კანონიერად ურიგებს.

**„ჩვენ, შესაბამისი ხელშეკრულება გვაქვს დადებული რესტორან „მადაგონთან“,** – უხსნიდა „მაესტროს“ ჩხაიძე.

„დიდგორის ველზე“ ტრადიციული ქართული სუფრები მალევე დაილაშქარა და საჭმლის ნარჩენები მაწანწალა ძაღლებს დარჩათ. ცარიელი პლასტმასის ბოთლები და პოლიეთილენის ცელოფნები მთელ ველს მოედო.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ტრანსპორტი, რითაც მოქალაქეები ჩამოიყვანეს არაორგანიზებულად გადაადგილდა და ბევრი პარტიის აქტივისტი „მიტოვებული“ აღმოჩნდა.

მიტოვებულებს, თავისი მხრივ სირცხვილის დერეფანი „ქართული ოცნების“ ახალგაზრდებმაც მოუწყვეს. ისინი შეძახილებით და ტაშიც შეხვდნენ „ხუთნომრიან“ თანატოლებს.

„ქართულ ოცნებას“ პოლიციამ ღონისძიებაზე დასწრების საშუალება არ მისცა. „ოცნების“ ახალგაზრდები დიდგორის ველის მიდამოებთან დადგნენ.

**„ეს ხომ სახალხო ზეიმია და არა სააკაშვილის ზეიმი?! ჩვენ რატომ არ გვიშვებთ?“** – ეკითხებოდნენ „ოცნების“ მხარდამჭერები პოლიციის თანამშრომლებს.

ამ ლოგიკურ კითხვაზე პასუხისგამცემი არავინ იყო.

**მანონ ბოკუჩავა**

## ბრიფინგი



# „არ აპირებენ უკანონოდ დაკისრებული ჯარიმის გადახდას“...

**„ქართული ოცნების“ პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ ტრადიციული ბრიფინგი „დიდგორობის“ დღესასწაულით დაიწყო, სადაც „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებს ხელისუფლებამ საპატრულო პოლიცია დაუპირისპირა.**

**„დილის 9 საათზე გაემართნენ ჩვენი ახალგაზრდები „დიდგორობაზე“. საპატრულო პოლიციამ კი სრულიად უკანონოდ და უსაფუძვლო ბრალდებებით ხელი შეუშალა სამარშრუტო ტაქსების გადაადგილებას. 12 მიკროავტობუსი საჯარიმო სადგომზე გაიყვანა სასაცილო საფუძველით — გაცვეთილი საბურავები, მგზავრთა გადაჭარბებული რაოდენობა... ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი კოტე დილმელაშვილი, რომელმაც ჩვენს ახალგაზრდებს გამოუცხადა, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ღონისძიება და მას არ შეიძლებოდა დასწრებოდნენ სხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიო. მათ ჩვენს ახალგაზრდებს არ მისცეს იმ ადგილამდე მიღწევის საშუალება, სადაც ღონისძიება ტარდებოდა, მაშინ, როცა ნაციონალური მოძრაობის მაისურებში გამოწყობილი ადამიანებისთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა გადაადგილება. პოლიციის თანამშრომლები აშკარად გამოხატავდნენ კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს და მაისურების მიხედვით არჩევდნენ ახალგაზრდებს.**

**ამას დაემატა ნაციონალური მოძრაობის მიერ აშკარად წინასწარ მომზადებული პროვოკაცია — ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებს გადაცმული ჰქონდათ „ქართული ოცნების“ მაისურები, ასლარიანებს აფრიალებდნენ, ვითომდა ეს ასლარიანები მათ საათში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა გადაუხადეს, რათა იქ ყოფილიყვნენ. ეს, რა თქმა უნდა, სიმართლე არ არის. ნაცმოძრაობის მიერ დაქირავებული ეს ნასვამი ქალები საპატრულო პოლიციამ ბოლოს და ბოლოს გზის მეორე მხარეს გადაიყვანა, მას შემდეგ, რაც ჩვენმა ახალგაზრდებმა მათ აშკარად განუმარტეს, რომ „ქართულ ოცნებასთან“ საერთო არაფერი ჰქონდათ“,** — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ეცადა საერთო-სახალხო დღესასწაულის მითვისებას და არსად არ განუცხადებია, რომ ამ დღესასწაულზე მათი პარტიული ღონისძიება იგეგმებოდა, და, შესაბამისად, სხვებს არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ამის შესახებ „ქართულმა ოცნებამ“ ინფორმაცია მიაწოდა დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთაც ისინი შეხვდებიან.

მაია ფანჯიკიძემ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მორიგ დეპრესიულ ღონისძიებებზე „ქართული ოცნების“ ლიდერების მიმართ. აუდიტის სამსახურმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, ბიძინა ივანიშვილის **20 მილიონი** ლარით და კახი კალაძის **17 მილიონი** ლარით დაჯარიმების თაობაზე იმის გამო, რომ მათ ოჯახში აქვთ ფული, რომელსაც საჭიროებისამებრ იყენებენ. „აუდიტის სამსახურმა უფლებამოსილების გადამეტებით ხელმეორედ დააყადაღა კახი კალაძის საბანკო ანგარიშები, მისი უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური აქტივები. ეს ქმედებები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს „ქართული ოცნების“ ლიდერების მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას. პოლიტიკურ მმართველობას დამორჩილებულმა სასამართლომ, კერძოდ მოსამართლეებმა კობა გოცირიძემ და ნანა დარასელიამ დააკმაყოფილეს აუდიტის სამსახურის შუამდგომლობა და ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის სახით დააკისრეს 20 მილიონი ლარი, ხოლო კახი კალაძეს — 17 მილიონი ლარი. ამასთან, დაუყადაღეს უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური აქტივები. ეს გადაწყვეტილება ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრდება ზემდგომ ინსტანციაში, რათა შეიქმნას იურიდიული საფუძველი იმისა, რომ დავა განიხილონ საერთაშორისო სასამართლოში. „ქართული ოცნების“ ლიდერები ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე არ აპირებენ უკანონოდ დაკისრებული ჯარიმის გადახდას“...

მაია ფანჯიკიძის თქმით, 12 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა თამარ ონიანმა, თეა ქადაშვილმა და ნათია ჯორბენაძემ განიხილეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან შემოსული სამართალდარღვევის ოქმები „ქართული ოცნების“ 16 შემოწირვის წინააღმდეგ. ისინი დააჯარიმეს მათ მიერ შემოწირული თანხების ხუთმაგი ოდენობით, რაც ჯამში 500 ათასი ლარია. **„ეს დაჯარიმებული იყო სრულიად დაუსაბუთებელი და პოლიტიკური დევნის ასევე ნათელი მაგალითი“,** — განაცხადა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, კიდევ უფრო პარადოქსულია „ქართუ“ ბანკის გენერალური დირექტორის ნოდარ ჯავახიშვილისა და ამავე ბანკის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის ნატო ხაინდრავას დაჯარიმება. **„როდესაც „ქართუ ბანკის“ დროებითმა მმართველმა ისინი თანამდებობიდან გაათავისუფლა, მათ დაერიცხათ საბოლოო ანგარიშსწორების თანხა, თითოეულს 2 თვის ხელფასი. სწორედ ამ თანხის ნაწილი გადაურიცხეს „ქართულ ოცნებას“, რადგან ფიქრობდნენ რომ ეს თანხა მათ არ ეკუთვნოდათ. ამის მიუხედავად, ორივე მათგანი დაჯარიმდა 85 ათასი და 68 ათასი ლარის ხუთმაგი ოდენობით. მეტიც, მოსამართლე ნათია ჯორბენაძე უკრძალავდა შემომწირველებს, დაესაბუთებინათ, რომ მათ ეს შემოწირულობა განახორციელეს და აცხადებდა, რომ სასამართლო არ არის პოლიტიკური განცხადებების ადგილი“...**

პრესსპიკერის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურები — სასამართლო და კონტროლის პალატა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს პოლიტიკური აქტიურობის საშუალება არ მიეცეთ.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე მზად არიან, კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა სრული კომპენსაციისთვის, საჭირო შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი თანხები გადარიცხონ.

**„ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია, რომ მოსახლეობისთვის დაეწყო კომპენსაციის გაცემა, არც კახეთის რეგიონსა და არც სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთში არავის მიუღია კომპენსაცია, იმის მიუხედავად, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის წყალობით, ბიუჯეტში დაუგეგმავი 80 მილიონი გაჩნდა“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ. მისივე განმარტებით, თუ ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევს, რომ ეს თანხა დაზარალებულთა სრული კომპენსაციისთვის საკმარისი არ არის, ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე, რომელთაც ახალი ჯარიმები დაეკისრათ, ამ თემას კვლავ გადახედავენ.

**„ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, ახსნას ხელისუფლებამ, რატომ არ ურიგებენ მოსახლეობას იმ თანხებს, რომელიც ეკუთვნით. რატომ ჭიანურდება ეს საქმე, იმის მიუხედავად, რომ სახსრები ბიუჯეტში უკვე არსებობს. თუ ხელისუფლება ფიქრობს, რომ თანხა არასაკმარისია იმისთვის, რომ დაზარალებულთა სრული კომპენსაცია მოხდეს, ბიძინა ივანიშვილი და კახი კალაძე, რომელთაც ახალი ჯარიმები დაეკისრათ, ამ თემას კიდევ ერთხელ გადახედავენ და შეიძლება 80 მილიონ ლარს კიდევ უფრო მეტი დაემატოს. მთავარი ის არის, რომ კახეთის მოსახლეობას სრულად აუნაზღაურდეს ზარალი“,** — დასძინა პრესსპიკერმა.

მაია ფანჯიკიძე დაეთანხმა ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვის იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც ხელისუფლებამ უარი თქვა საკუთარ ემიგრანტებზე და მათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მისცა. **„არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ემიგრანტები საარჩევნო უბნებამდე უნდა მივიდნენ. საარჩევნო უბნები კი, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იხსნება მხოლოდ იქ, სადაც არის საქართველოს წარმომადგენლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საარჩევნო უბნები იხსნება სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში, საქართველოდან წასული ადამიანები კი დაფანტულნი არიან არა მხოლოდ დედაქალაქში, არამედ სხვა ქალაქებშიც, ხშირად დედაქალაქიდან მოშორებითაც. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ხმის მისაცემად უნდა მივიდეს საქართველოს წარმომადგენლობაში. ეს ძალიან დიდი პრობლემაა მათთვის, ვინც მუშაობს. ევროპის ქვეყნებში დედაქალაქამდე ჩასასვლელად საჭიროა ასეულობით ევრო მატარებლის ბილეთის საყიდლად, ან მანქანით წასასვლელად. ფინანსურ პრობლემასთან ერთად ეს დროის პრობლემაცაა. 1 ოქტომბერი არასამუშაო დღეა, როგორც ეს საქართველოში მოხდა. ემიგრანტების სურვილი არანაირად არ გაითვალისწინეს“,** — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

მისი თქმით, ემიგრანტების სურვილია, საარჩევნო უბნები სხვა ქალაქებშიც გაიხსნას. **„შესაძლოა ეს პრობლემა მოგვარდეს, ამიტომ არ მინდა კატეგორიული ვიყო, მაგრამ რაც შეეხება ორშაბათს, ამ შემთხვევაში კატეგორიული ვარ, საქართველოს ხელისუფლებას არ აინტერესებს საქართველოდან გასული ასეულ ათასობით ამომრჩევლის პოზიცია, ისევე როგორც არ აინტერესებს მათი ბედი“,** — დაასკვნა ფანჯიკიძემ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## უცხოური გამოცემიდან

# მსოფლიო ეკონომიკის შავი ხვრელი

**დამოუკიდებელი ბრიტანული ორგანიზაცია Tax Justice Network-ის მონაცემებით, მსოფლიოს ოფშორულ ზონებში გაცილებით მეტი ფული მიედინება, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლება. კერძოდ, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, 2010 წლის ბოლოსათვის მსოფლიოს მილიარდერებმა ოფშორულ ზონებში გადასახადებისაგან 21 ტრილიონ დოლარამდე გადამალეს. ეს თანხა ერთად აღებული აშშ-ის და იაპონიის ეკონომიკების ეკვივალენტურია.**

ორგანიზაციის ერთ-ერთი თავკაცი ჯეიმს ჰენრი თვლის, რომ მდიდრების მიერ ოფშორებში გადამალული ფულის რაოდენობა გაცილებით მეტი, 32 ტრილიონამდე იქნება და რომ 21 ტრილიონი ერთობ კონსერვატული შეფასებაა. საქმე ის არის, რომ წინასწარი შეფასება მხოლოდ ფინანსურ აქტივებს ითვალისწინებს და მხედველობაში მიღებული არ არის უძრავი ქონება, იახტები და ფუფუნების საგნები.

**კვლევაში მითითებულია, რომ 2010 წლის ბოლოსათვის კერძო კლიენტთა 12,1 ტრილიონი დოლარი 50 უმსხვილეს ბანკში იყო თავმოყრილი. თანაც, ამ თანხის ნახევარი 10 ბანკში გახლდათ მოქუჩებული. 2005 წლისათვის ეს მაჩვენებელი 5,4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.** საბანკო მომსახურების სფეროს უმსხვილესი ბანკები გახლდათ UBS, Credit Suisse lf Goldman Sachs.

**ამასთან, აღნიშნულია, რომ 100 ათასამდე ადამიანს ოფშორებში დიდძალი თანხა აქვთ გადამალული. აქედან მიუღებელი გადასახადები იმდენად დიდია, რომ არაერთი ქვეყნის მდგომარეობის საგრძნობლად გამოსწორებაა შესაძლებელი. ანალიტიკოსთა აზრით, ეს გარკვეულწილად კარგი ამბავიცაა, რადგან მსოფლიომ დიდ ფინანსებს მიაკვლია და შეუძლია პრობლემების დასაძლევად მათ გამოყენებაზე იფიქროს.**



კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება განვითარებად ქვეყნებზეა გამახვილებული. Tax Justice Network-ის კვლევაში მიმოხილულია საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე 139 ქვეყნის მდგომარეობა, რომლებზეც მსოფლიოს მოსახლეობის 85 პროცენტი, მსოფლიოს შიდა პროდუქტის 51 პროცენტი, სავალუტო რეზერვების 75 პროცენტი და 4,1 ტრილიონი დოლარი საგარეო ვალი მოდის.

ანალიტიკოსთა შეფასებით, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 2010 წლამდე ამ ქვეყნების მოქალაქეებმა ოფშორებში 10 ტრილიონ დოლარამდე გადაისროლეს. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ნავთობის მომპოვებელ ქვეყნებში, რადგან მათი გვარიანი შემოსავლის დიდი ნაწილი, იმის ნაცვლად, რომ შიდა ბაზარზე ინვესტირდეს, ოფშორულ ზონებში მიედინება და ქვეყნის ბიუჯეტი ხახამშრალი რჩება.

**ოფშორულ ზონებში გადინებული თანხების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზეა ჩინეთი, საიდანაც 70-იანი წლებიდან 2010 წლებში 1,189 ტრილიონი დოლარი გაიტანეს. მეორე ადგილზე 798 მილიარდი დოლარით რუსეთია, მესამეზე კი 779 მილიარდით კორეა. შემდეგ მოდიან: ბრაზილია (520 მილიარდი), კუვეიტი (496), მექსიკა (417), ვენესუელა (406), არგენტინა (399), ინდონეზია (331) და საუდის არაბეთი (308).**

გადასახადებისაგან თავის არიდებას კარგა ხანია ებრძვიან განვითარებულ ქვეყნებში. სხვადასხვა სახელმწიფოში ერთობ მკაცრი სასჯელია დაწესებული. გერმანიის მთავრობა კი იმ პირებს, ვინც აღიარებს, რომ ოფშორებში კაპიტალი გაიტანა და გადასახადების გადახდას თავი აარიდა, ხელშეუხებლობას და ჯილდოსაც კი დაპირდა.

Tax Justice Network იუწყება, რომ **მსოფლიოს მთავარი საგადასახადო თავშესაფარი შვეიცარიაა, რომელიც სხვა განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით ყოველთვის ცდილობდა, თავისი ბანკების კლიენტთა შესახებ ინფორმაცია საიდუმლოდ შეენახა. მეორე განთქმული კაიმანის კუნძულებია, მესამე კი ლუქსემბურგი. მეოთხე ჰონკონგი გახლავთ, ხოლო მეხუთე ბაჰრეინი.**

**გოჩა ქიმუცაძე,**
**For.ge**

## კომპეტენტური აზრი

# პუტინის უკანასკნელ განცხადებას ფრიად სახიფათო სიმპტომად მივიჩნევ,

— ამბობს პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, **ზურაბ აბაშიძე**



**— ბატონო ზურაბ, 2008 წლის აგვისტოს ომის მეოთხე წლისთავზე არ წყდება კამათი, თუ ვინ დაიწყო საომარი მოქმედებები. საპარლამენტო არჩევნების პერიოდია და ეს თემა განხილვისა და კამათის მთავარ საკითხად არის ქცეული. სულ ახლახან პრეზიდენტმა პუტინმა მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა. განცხადებაში ორი ასპექტი იქცევს ყურადღებას, შესაბამისად თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე ღირს საუბარი. პუტინმა განაცხადა — „ქართული მხრიდან აგრესიის მოსაგერიებლად რუსეთის გენერალურმა შტაბმა გეგმა 2006-2007 წლებში შეიმუშავა, რომელიც ჩემთან იყო შეთანხმებული“. გამოდის, რომ რუსეთი საქართველოსთან საბრძოლველად ომისთვის 2008 წლის ომამდე 2 წლით ადრე ემზადებოდა. როგორ შეაფასებდით აგვისტოს ომთან დაკავშირებით პრეზიდენტ პუტინის ბოლო განცხადებას?**

— დავიწყოთ იმით, რომ დღეისთვის ჩვენ უფრო მეტი ვიცით 2008 წლის ომის შესახებ, ვიდრე, ვთქვათ, 2 წლის წინათ. ეს ბუნებრივია, რადგან დროის განმავლობაში ინფორმაცია გროვდება, ასევე ხდება სხვადასხვა მონაცემების გააზრება და გაანალიზება. ამასთანავე, ამ ომის ჭრილობები ჯერ არ მოშუშებულა, მასთან დაკავშირებული ტკივილი და განცდა დღესაც უაღრესად მწვავეა.

მე კარგად მახსოვს ჩვენი საზოგადოების გონიერი ნაწილის პოზიცია უშუალოდ ომის შემდგომ თვეებში. საერთო აზრი ასეთი იყო: ახლა კინკლაობისა და ერთმანეთთთან ბრძოლის დრო არ არის, მთავარია, ქვეყანა გადარჩეს; მაგრამ განსჯის დროც დადგება. მაშინ ჩვენს ხელისუფლებას ეს პოზიცია ძალიან მოეწონა და მიესალმა კიდეც. მაგრამ როგორც კი მოღონიერდა, ომის გამომწვევ მიზეზებზე სჯა-ბაასის სურვილიც დაკარგა. პირიქით, ვინც ოდნავ გადაუხვია ოფიციალურ პოზიციას იმის თაობაზე, რომ ჩვენ 100%-ით მართლები ვართ, რენეგატად და პრორუსულად მოინათლა.

მგონი, ზოგიერთი იმასაც ცდილობს, რომ საერთოდ „ქართულ ოცნებას“ დააბრალოს აგვისტოს ტრაგედია, რაც სრული აბსურდია. ამგვარად, ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ გამოიჩინა თვითკრიტიკის უნარი, ვერ შესძლო საკუთარი შეცდომების დანახვა და გააზრება. ეს, სამწუხაროდ, ტრადიციად იქცა ჩვენს უახლეს ისტორიაში. დღემდე არ გვინდა, გავიხსენოთ, თუ როგორ გადავემტერეთ ერთმანეთს 1990-იანი წლების დასაწყისში ან რა შეგვეშალა აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში. არადა, კარგად მახსოვს, რომ ბევრი რამ შეგვეშალა. ჩვენი წილი პასუხისმგებლობისა (ხაზს ვუსვამ — ჩვენი წილი!) ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ და გავაანალიზოთ. ეს მხოლოდ გაგვაძლიერებს. ადრე, თუ გვიან ეს აფხაზებისა და ოსებისთვისაც მისაბაძი მაგალითი შეიძლება გახდეს.

ჩვენ იმაზეც უნდა გვემსჯელა, თუ რა შეგვეშალა რუსეთთან მიმართებაში. ჩემი აზრით, მთავარი შეცდომები ომამდელ პერიოდშია (2004-2007 წლები) დაშვებული. ეს არანაირად არ იყო პრაგმატული ან რეალისტური პოლიტიკა, აშკარად სჭარბობდა ემოციები, აგრესიული ინფანტილიზმი, გაუაზრებელი განცხადებები და ნაბიჯები. აგვისტოში კი ომი უკვე გარდუვალი იყო, მისკენ რუსეთი მიზანმიმართულად მიდიოდა და ყოველნაირად ცდილობდა ჩვენს დასჯას დასავლური ორიტაციის გამო. აკი ეს ბატონმა პუტინმაც დაადასტურა „შესაშური“ გულახდილობით.

რაც შეეხება რუსეთს, მისი პასუხისმგებლობის დოზა ძალიან დიდია. ბოლო 20 წლის განმავლობაში იგი ერთმნიშვნელოვნად დესტრუქციულ პოლიტიკას ატარებს საქართველოს მიმართ, რაც თავისთავად უაღრესად ირაციონალური და არასწორი მიდგომაა. ჩემი აზრით, კეთილი სიტყვითა და საქმით მოსკოვს გაცილებით მეტის მიღწევა შეეძლო ამ რეგიონსა და საერთოდ მის სამეზობლოში. აგვისტოს ომი კულმინაციაა ამ დესტრუქციული პოლიტიკისა.

აგვისტოს ომთან დაკავშირებით პუტინის უკანასკნელ განცხადებას ფრიად სახიფათო სიმპტომად მივიჩნევ. საქმე ისაა, რომ რუსეთმა ბოლო 30 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი წააგო და დაკარგა. უპირველესად, მან წააგო 50-წლიანი გლობალური „ცივი ომი“ დასავლეთთან, რის გამო ზესახელმწიფოს ტიტულსაც დაემშვიდობა. მან წააგო რეგიონული ომი ავღანეთში, რამაც დააჩქარა სსრკ-ის დაშლა. კრემლმა 1994-1996 წლებში საკუთარ ტერიტორიაზეც კი ფაქტობრივად (ჩეჩნეთში) წააგო ომი. ამგვარად, რუსულ ცნობიერებაში 2008 წლის აგვისტოს ომში სამხედრო წარმატება ნიშნავს არა მხოლოდ საქართველოს დამარცხებას, არამედ ნაწილობრივ ძველი სიდიადისკენ შემობრუნებას, დასავლეთის დამცირებასა და მისთვის სამაგიეროს გადახდას. ალბათ ამ კონტექსტში უნდა დავინახოთ პუტინის ეს ბოლო განცხადებაც, იგი არა მარტო შიდა მოხმარებისათვის არის გათვლილი, არამედ საერთაშორისო ადრესატიც ჰყავს. დასავლეთის მიმართ გზავნილი ასეთია: თავისი ინტერესების დასაცავად რუსეთი არაფრის წინაშე არ დაიხევს უკან!

**— თქვენი აზრით, პუტინის ეს განცხადებები და დიმიტრი მედვედევის რუს სამხედროებთან შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება — „რომ არა 2008 წლის აგვისტოს ომი, რუსეთი სულ სხვაგვარ გეოპოლიტიკურ ვითარებაში იქნებოდა, რუსეთის საზღვართან ნატოს ჯარები იქნებოდნენ განლაგებული“, რა გავლენას იქონიებს აგვისტოს ომთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებებსა და სამომავლო ქმედებებზე? და კიდევ, რამდენად შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ რუსეთი 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებას შეასრულებს?**

— პუტინისა და მედვედევის განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, ისინი თვლიან, რომ აგვისტოს ომში სამხედრო წარმატებამ ხელი შეუწყო რუსეთის საერთაშორისო ფუნქციის გაძლიერებას — ახლა მას უფრო მეტად უწევენ ანგარიშს. მათი აზრით, ომმა შეაჩერა ნატოს აქტიურობა კავკასიის მიმართულებით, ასევე გააძლიერა კრემლის პოზიციები ამ რეგიონში („აწი ეცოდინებათ, თუ ვინ არის აქ მთავარი“!). დააკვირდით, რაც დრო გადის, მოსკოვი სულ უფრო ნაკლებად იხსენებს საქართველოში შემოჭრის პირველ საბაბს, ანუ ოსების დაცვას ქართული აგრესიისაგან. ამას, რა თქმა უნდა, საერთაშორისო




თანამეგობრობა ხედავს და შესაბამის დასკვნებსაც აკეთებს. მხედველობაში მაქვს რუსეთისთვის ოკუპანტის სტატუსის მინიჭება, რაც თითქმის საერთაშორისო რეალობად იქცა.

ძნელია იმის თქმა, თუ როდის იქონიებს საერთაშორისო ზეწოლა რუსეთზე რაიმე რეალურ გავლენას. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, კერძოდ, როგორც საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, ასევე რუსეთსა და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებზე. ჯერ, სამწუხაროდ, რაიმე ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება მიჭირს. ახლა რუსეთში კარგ ტონად ითვლება დასავლეთის აზრის იგნორირება და „მაგარი ბიჭობის“ წარმოჩენა. ალბათ, ამ პოზასაც ერთ დღეს ამოეწურება რესურსი. რუსეთშიც არიან ადამიანები, რომლებიც ხვდებიან, თუ რაოდენ დააზარალა რუსეთის ავტორიტეტი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიამ.

**— გამოცემა „ჰუფინგტონ პოსტში“ კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის მკვლევარის, ლინკოლნ მიტჩელის წერილმა „ვინ აკეთებს რუსულ საქმეს თბილისში“?, ქართულ პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მიტჩელის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის რიტორიკა ანტირუსულია, თუ საქართველოს მთავრობის რუსეთთან მიმართებას შედეგებით შევაფასებთ, ზედაპირზე სრულიად განსხვავებული ისტორია ამოტივტივდება — საქართველოს მთავრობის ქმედებებმა ის შედეგები გამოიღო, რომელიც აშკარად შედის რუსეთის ინტერესებში. მიტჩელი გამორიცხავს, რომ „სააკაშვილი რუსული გეგმის საიდუმლო ნაწილია“, მაგრამ იქვე დასძენს, რომ სწორედ სააკაშვილის 8-წლიანი მმართველობის დროს საქართველომ დაკარგა ტერიტორიები, სუსტია ეკონომიკა, ქვეყანაში შენარჩუნებულია საზოგადოების პოლარიზაცია, ნატოსა და ევროკავშირისკენ ლტოლვა ქვეყნის თითქმის აუხდენელ ოცნებად იქცა, მიუხედავად იმისა, რომ აშშ საქართველოში ბევრ ფულს ხარჯავს, აშშ-სადმი ნდობა შესუსტებულია. თქვენ როგორ შეაფასებდით ლინკოლნ მიტჩელის მოსაზრებებს?**

— ლინკოლნ მიტჩელის ზოგიერთ არგუმენტს ალბათ შეიძლება დავეთანხმოთ. სამწუხაროდ, ჩვენში ნაწილობრივ მართლაც მოხდა ლიბერალური და დასავლური ფასეულობების დევალვაცია, რადგან ეს ფასეულობები ხშირად ინერგება არა შინაარსობრივად, არამედ მხოლოდ ზედაპირულად. ის, რომ ხელისუფლება ლაპარაკობს სამართლიანობაზე და, ამავე, დროს ხშირად მოქმედებს უსამართლოდ, მოსახლეობაში ქმნის განცდას, რომ ამაში დასავლეთია დამნაშავე. საპასუხოდ საზოგადოების ერთი ნაწილი აკეთებს დასკვნებს, რომლებსაც არანაირი კავშირი არა აქვთ რეალობასთან: დასავლეთს ჩვენი გაუბედურება სურს, ებრძვიან ჩვენს ტრადიციებს, მართლმადიდებლობას და ა.შ. ახლა მთავარია, მოსახლეობას დავუბრუნოთ დემოკრატიის უნივერსალური ფასეულობებისადმი რწმენა, რეალურად დავამკვიდროთ ისინი ჩვენს ცხოვრებაში. მიტჩელის სხვა მოსაზრებები, ჩემი აზრით, საკამათოა.

**— რას შეიძლება ნიშნავდეს ლინკოლნ მიტჩელის დასავლეთისადმი რჩევა — „დასავლეთი არ უნდა დასჯერდეს საქართველოს მთავრობის ანტირუსულ რიტორიკას და სერიოზულად დაფიქრდეს, თუ რა მოიგო რუსეთმა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და რას მოიგებს აშშ საქართველოში იმ შემთხვევაში, თუ მმართველ რეჟიმს სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებისადმი განსხვავებულ მიდგომას შესთავაზებს“?**

— პრორუსულ ორიენტაციაში მხილება მხოლოდვარაუდებისა და ემოციების საფუძველზე არ შეიძლება. მიტჩელის ეს რჩევაც, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ დასავლეთში მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ქართველ პოლიტიკოსთა საქმეებს და არა მხოლოდ სიტყვებს.

**— ბატონო ზურაბ, საარჩევნო კამპანია ურთიერთბრალდებების, თეფშებისა თუ ფინანსური წყაროების დაყადაღებებისა და სხვა უამრავი დარღვევის ფონზე მიმდინარეობს. თქვენ როგორ შეაფასებდით მიმდინარე საარჩევნო კამპანიას და ყველაფერ იმას, რაც საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ხდება.?**

— ამ დარღვევებსა და პრობლემებზე იმდენს საუბრობენ, რომ რაიმეს დამატება ნამდვილად მიჭირს. დარღვევების სერიიდან ბოლოდროინდელი „აკორდია“ კახი კალაძის ქონების დაყადაღების მოთხოვნაა, რაც სრულიად გაუგებარი და მიუღებელია.

ამასთანავე, მე ძალიან მაწუხებს ჩვენი საზოგადოების პოლარიზაცია და ერთმანეთის მიმართ სიძულვილის განცდის ზრდა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბოლო ხანს თითქმის ყოველ თავის ქადაგებაში ამაზე საუბრობს და თავშეკავებისკენ, ერთმანეთის პატივისცემისკენ მოგვიწოდებს.

სიძულვილი უმძიმესი დაავადებაა, მან ჩვენში ბევრი ადამიანი დაასნეულა. პარადოქსია, მაგრამ ოპონენტის მიმართ სიძულვილისა და შეურაცხყოფის გამოხატვა გარკვეულწილად კარგ ტონადაც იქცა, ამას ზოგიერთი ვაჟკაცობად, პრინციპულობად და დიდ გონებამახვილობად მიიჩნევს. მაცხოვარი მტრის სიყვარულს ქადაგებდა, ჩვენ კი ხშირად მოყვრის სიძულვილის გზას ვადგებით. აი, ეს მადარდებს ყველაზე მეტად.

**კობა ბენდელიანი**

## ინფორმაცია

### „შავფაროსნები“ დიდგორის ველზე მოქალაქეების შეუშვებლობას აპროტესტებენ

**ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია „შავფაროსნები“ დიდგორის ველზე მოქალაქეების შეუშვებლობის ფაქტს აპროტესტებს და აცხადებს, რომ მათთვის ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობა, რომელზეც ხალხს არ უშვებენ, მიუღებელია.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „შავფაროსნებიდან“ აცნობეს, სწორედ ამიტომ, მათ დემონსტრაციულად დატოვეს დიდგორის ველი და უარი თქვეს ღონისძიებაში მონაწილეობაზე, სადაც დიდგორის ბრძოლის ინსცენირება უნდა გაემართათ და მასიური საბრძოლო სცენები დაედგათ. — ერთი თვე ვემზადებოდით დიდგორის ბრძოლის ინსცენირებისთვის. ეს უნდა ყოფილიყო ყველაზე მასშტაბური საბრძოლო წარმოდგენა, რომელიც აქამდე დადგმულა. როდესაც გავიგეთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი პარტიის შეკრება და ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული დღის აღსანიშნავად მოქალაქეებს დიდგორის ველზე არ უშვებდნენ, 60-მდე შავფაროსანმა დიდგორი დავტოვეთ. ჩვენ ისტორიულ სცენებს ქართველი ხალხისთვის ვაცოცხლებთ და არა რომელიმე პარტიისთვის, ან პირისთვის, — აცხადებს „შავფაროსნების“ პრეზიდენტი ირაკლი ქოქოსაძე.**

**მისივე ცნობით, საპატრულო პოლიციამ დიდგორის ველზე მოგვიანებით მისული „შავფაროსნების“ დამფუძნებელი ლაშა კობახიძე და რამდენიმე წევრიც არ შეუშვა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღონისძიებების მონაწილეები იყვნენ.**

**— ამის მიზეზი იყო ის, რომ მათი მანქანის სანომრე ნიშნები „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გადაცემულ სიაში არ ეწერა, — აცხადებენ „შავფაროსნები“.**

ინტერპრესი

ყოფა



Georgian Service (RFE/RL)

# საქართველოში სურსათის ფასები იზრდება

## გამოიწვევს მიმდინარე პროცესები ინფლაციას?

**ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში საქართველოში სურსათის ზოგიერთ სახეობაზე ფასების ზრდა შეინიშნება. პროდუქტების ნაწილის ღირებულების ზრდა კახეთში დატრიალებული სტიქიური უბედურების შემდეგ დაიწყო, ნაწილის გაძვირება კი საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს მოჰყვა. მსოფლიოში ხორბლისა და ნავთობპროდუქტების გაძვირების შემდეგ ფასმა შაქარზეც მოიმატა. საინტერესოა, როგორ აისახება ეს პროცესები საქართველოს ფასების ინდექსსა და ინფლაციაზე.**

თუ ხილ-ბოსტნეულის გაძვირება კახეთში მოსავლის განადგურებას მოჰყვა, პურის ფქვილის ფასის მატება მსოფლიო ბაზარზე ხორბლის გაძვირებამ გამოიწვია. ამის მიზეზი კი ხორბლის მწარმოებელ ძირითად ქვეყნებში გვალვის შედეგად მოსავლიანობის შემცირებაა.

საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგაძის განცხადებით, გვალვებამდე ხორბლის ძირითადი მომწოდებელი რუსეთი იყო, მაგრამ ივლისის დასაწყისში რუსული ხორბალი საგრძნობლად გაძვირდა და ქართულმა კომპანიებმა ხორბლის მარაგი ყაზახეთში შეიძინეს: **„ყაზახეთში შედარებით იაფი იყო ხორბალი და მათ ძალაუნებურად უნდა გაეთავისუფლებინათ თავიანთი შესანახი მეურნეობები იმისათვის, რომ ახალი ხორბალი, რომელიც სექტემბერში მოდის, დაებინავებინათ. ამ დროს მოხდა საკმაოდ ნორმალურ ფასად ხორბლის შემოტანა საქართველოში, დაბინავება, და ახლა ჩვენი წისქვილკომბინატები ყაზახეთიდან შემოტანილი ხორბლით მუშაობენ, ანუ ფქვილის ბაზარზე სტაბილურობაა“.**

ხორბლით მომარაგების სტაბილურობას ისიც განაპირობებს, რომ ყაზახეთმა გადაწყვიტა, საკუთარი ხორბალი მხოლოდ საქართველოს გავლით გაიტანოს.

ასევე გარე ფაქტორებს – მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გაძვირებას – უკავშირდება მიმდინარე კვირაში საქართველოში საწვავის ფასის 5 თეთრით გაზრდა. ამ გაძვირების მიზეზებს განმარტავს „ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის“ თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი:

**„ივლისის პირველი რიცხვებიდან იწყებს საერთაშორისო ფასები მატებას და წლევანდელი წელი არ არის გამონაკლისი. ეს განპირობებულია ტურისტულ სეზონთან დაკავშირებული მოთხოვნილების ზრდით“.**

ნავთობის გარდა, მსოფლიო ბაზარზე სასურსათო პროდუქციის გაძვირებაც შეიმჩნევა. კერძოდ, საგრძნობლად მოიმატა შაქრის ფასმა. გაეროს სასურსათო ორგანიზაცია „ფაოს“ მონაცემებით, შაქრის და სხვა სასურსათო პროდუქციის ღირებულება ჯერ კიდევ რჩება უფრო ნაკლები, ვიდრე ეს იყო გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. უფრო მეტიც, მსოფლიო ბაზარზე გარკვეული პროდუქციის გაიაფებაც შეიმჩნევა, მაგალითად – ღორის ხორცისა და ზოგადად ხორცის პროდუქტების.

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ ექსპერტი შოთა მურღულია განმარტავს, რომ, გარე და შიდა ფაქტორების მიუხედავად, რაც სასურსათო პროდუქციის ნაწილის გაძვირებას იწვევს, მაინც შესაძლებელია ინფლაციური პროცესების რეგულირება: **„თუ ქვეყანა კარგად დაიჭერს ეგრეთ წოდებულ ფულის მასას, მაშინ ინფლაცია არ მოხდება“...**

შოთა მურღულია ფულის მასის ზრდის საფრთხეს იმ წინასაარჩევნო აქტივობებში ხედავს, რომლებიც დამატებითი სახსრების ხარჯვას უკავშირდება.

ეს პროცესები ჯერჯერობით არ ასახულა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებულ სამომხმარებლო ფასების ინდექსში – ინფლაციის მაჩვენებლებში. საქსტატმა ბოლო კვლევა ივლისის შუა რიცხვებში ჩაატარა – მაშინ, როდესაც ფასები ძირითადად ჯერ კიდევ უცვლელი იყო. ამ სამსახურის უფროსის ზაზა ჭელიძის განცხადებით, სურსათის გაძვირება აგვისტოს თვის მაჩვენებლებზე აისახება: **„სავარაუდოდ, ალბათ წლის ბოლომდეც იქნება ინფლაცია“...**

ეკონომიკის ექსპერტები მცირე ინფლაციაში საფრთხეს ვერ ხედავენ – ისეთში, როგორიც, მაგალითად, ახლა აღინიშნება, როდესაც წლიური საშუალო ინფლაცია 1 პროცენტის ფარგლებშია. **საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აზრით, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის 5-6-პროცენტიანი ინფლაცია ნორმალურ მდგომარეობად ითვლება.**

კახა მჭედლიძე

რა ხდება?

# აკი საბაზრო ეკონომიკა გვაქვსო?!

## ვანო სოციალიზმში – სახელმწიფო კომპანიები ბაზარზე გამოდიან

**ვანო მერაბიშვილის სოციალისტური იდეებიდან გლეხური მეურნეობების დახმარება ერთ-ერთი მათგანია. უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომპანია, რომელიც ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტში ფერმერებს პროდუქციის რეალიზაციაში დაეხმარება.**

**ეს დაახლოებით საბჭოთა მოდელია, როცა სპეციალურ პუნქტებში გლეხები ტყემალს და ვაშლს აბარებდნენ, შემდეგ კი ეს პროდუქტი, გადამუშავებული თუ ნედლი სახით დიდ რუსეთში გაჰქონდათ. ახლა კი, ჯერჯერობით, არც ჩამბარებელი პუნქტებია და რუსული ბაზრის დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**



თუმცა, საარჩევნოდ შემართული პრემიერ-მინისტრი შეუპოვარია. იგი მთელი საქართველოს მასშტაბით ხილისა და ბოსტნეულის შემგროვებელი პუნქტების გახსნას ეპირება, რომლებიც მიღებული პროდუქციის დახარისხების, დაფასოებისა და შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვება.

**„ყველაზე ცუდი არის ის, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე არ არის სტაბილური ფასები. ერთ წელიწადს ძვირი ღირს, მეორე წელს – იაფდება, ზარალდება მწარმოებელი, ბიზნესმენი და მთელი საქართველო. შედეგად ვიღებთ იმას, რომ საქართველოში ხშირად იგივე პროდუქცია, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ შემოდის უცხოეთიდან, ის უფრო კარგად იყიდება, ვიდრე ქართული. ხელი უნდა შევუწყოთ, წვრილ, საშუალო და დიდ ბიზნესმენებს და მწარმოებელ გლეხებს, რომ თავიანთი ჭარბი პროდუქცია გაიტანონ საქართველოს გარეთ“,** – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, თუ სახელმწიფო კომპანიას ეს ტვირთი გზაში გაუფუჭდა ან გვიან ჩაიტანა, ამ შემთხვევაში ფერმერიც, გლეხიც და მწარმოებელიც კომპენსაციას მიიღებენ.

**„2-3 წელიწადში საქართველოში იქნება სტაბილური ფასები, გაორმაგდება და გახუთმაგდება წარმოებაც. წელს ვაპირებთ, რომ ექსპორტზე 30 ათასი ტონა ციტრუსი გავიტანოთ, 200 ტონა –– კივი, ხურმა-კარალიოკი –– 8 ათასი ტონა, ატამი და ვაშლატამა – 5 ათასი ტონა, მწვანილი – 5 ათასი ტონა, კომბოსტო – 10 ათასი ტონა და შემდეგში, ეს ჩამონათვალი გაფართოვდება. ჩვენ ვიქნებით თქვენი ხიდი ევროპასთან“,** – მიმართა ფერმერებს მერაბიშვილმა.

სახელმწიფოს მიერ ამგვარი სტრუქტურების შექმნას დიდი ეჭვით უყურებს ექსპერტი ბაზრების მოძიების საკითხებში ბადრი რამიშვილი. მისთვის გაუგებარია, რატომ ფიქრობს სახელმწიფო პროდუქციის ექსპორტზე, როცა საკუთარ ბაზარზე განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის მძაფრი დეფიციტი აქვს.

**„სახელმწიფო კომერციული სტრუქტურები ყველა შემთხვევაში ეჭვს იწვევს. თანაც ჩვენი მთავრობა ლიბერალურ ტალღაზეა მოსული. აქამდე ბაზარზე სახელმწიფოს ნაკლები ჩარევის მომხრე იყვნენ და ახლა გადაუხვიეს თავის პოლიტიკას? ბაზარზე ჩარევა უნდა ხდებოდეს, მაგრამ გონივრულად. ეს შეიძლება იყოს ფინანსური მხარდაჭერა, სტრუქტურული რეფორმები, მოლაპარაკებების წარმოება ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან, ბაზარზე ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის.**

**უშუალოდ სახელმწიფო სტრუქტურების შექმნით, ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდა წარმოუდგენელია, ან სად უნდა გავიტანოთ ეს პროდუქტი? ამის ნაცვლად, სჯობს, ევროკავშირთან დაწყებული მოლაპარაკებები ბოლომდე მივიდეს და მივიღოთ მათთან თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის რეჟიმი. შემდეგ კი ეს სტრუქტურები თავისით შეიქმნება, საკმაოდ სწრაფი ტემპებითაც კი“,** – ამბობს რამიშვილი.

ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის ზრდას უცხოური ბაზრების, განსაკუთრებით კი, რუსეთის ბაზრის დაბრუნებაში ხედავს სოფლის მეურნეობის ექსპერტი თამაზ კუნჭულიაც.

**„რუსეთში ქართული პროდუქციისადმი ნოსტალგია კიდევაა შემორჩენილი. ჩვენი პროდუქტი, ხილია ეს თუ ბოსტნეული, ძირითადად, რუსეთის ბაზარზე გადიოდა. ახლაც, უნდა შევეცადოთ, რომ რუსეთის ბაზარზე შევიდეთ, სხვა გამოსავალი არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას არ უნდა ველოდოთ. უცხოელების მიერაა აღიარებული, რომ 21-ე საუკუნეში რუსეთის ბაზარი საუკუნის ბაზარია“,** – საუბრობს კუნჭულია.

გიორგი ბექაური

გვქონდეს და არ ვიყენებდეთ?!

# ქართული ჩაის სმა და მსოფლიო ფასები

**მსოფლიოში ჩაი ერთბაშად გაძვირდა და ფასმა ყოველგვარ პროგნოზს გადააჭარბა. ბაზრებზე მოთხოვნა მატულობს, პროდუქცია კი მუდმივად იკლებს. ამ დროს საქართველოს ჩაის ექსპორტი უზარმაზარი პოტენციალი აქვს განახორციელოს, მაგრამ მას ვერ ვიყენებთ. ექსპორტს ვინ ჩივის, ადგილობრივი ბაზარი თითქმის მთლიანად დაკარგული გვაქვს.**

ჩაის მოსავლის შემცირების გამო, „მწვანე ოქროს“ ღირებულებამ მსოფლიო ბაზარზე 2,5 წლის მაქსიმუმს მიაღწია. ჩაის მოსავალი კი, თავის მხრივ, შრი-ლანკასა და კენიაში გადაულებელი წვიმებისა და გვალვის გამო შემცირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კენიაში ბოლო 1,5 წლის განმავლობაში ჩაის მოსავალი 11,5%-ით შემცირდა, ხოლო ინდოეთსა და შრი-ლანკაში – 10%-ით. ჩაის უმსხვილესმა იმპორტიორებმა: რუსეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, პაკისტანმა, და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებმა ჩაის მარაგები საგრძნობლად გაზარდეს.

საბითუმო ბაზარზე ელიტური შავი ჩაის ფასი 1 კილოგრამზე 4 დოლარამდე გაიზარდა.

მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნა იზრდება და ის ქვეყნები, რომლებიც ექსპორტს ეწეოდნენ – ინდოეთი, ცეილონი და თუნდაც ჩინეთი – გაზრდილი შიდა მოთხოვნის გამო, ექსპორტს ველარ გაზრდიან. საერთაშორისო ექსპერტები ამბობენ, რომ მსოფლიო ბაზრებზე ჩაის გატანის ყველაზე მეტი შანსი იმ ქვეყნებს აქვთ, რომლებიც მას ყველაზე ნაკლებად მოიხმარენ. ასეთ ქვეყნებად დასახელდა საქართველო და კენია.

**„საბჭოურ ეპოქაში საქართველოში 64 ათასი ჰექტარი ჩაი იყო. ახლაც კი მსოფლიო ბაზარზე საქართველოს 70-80 ათასი ტონა მზა პროდუქციის გატანა შეუძლია. ამ ტენდენციის შესაბამისად, ყველა ქვეყანამ ან წარმოება გაზარდა ან ფართობები. მეჩაიეობის ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთია, რომელმაც ამ ტენდენციის ფონზე, შეამცირა როგორც ფართობები, ისე წარმოება.**

**ჩვენ მსოფლიო კონკურენციაში ჩაბმა თუ გვინდა, მწვანე ჩაი უნდა ვაწარმოოთ. იაპონიაში და ჩინეთში ასეთი ჩაი რომ მიიღონ, ბუჩქების დაჩრდილვას ახდენენ, ატარებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს. ჩვენ ეს არ გვჭირდება, საქართველოში ბუნებრივად შეგვიძლია მივიღოთ მაღალი ხარისხის მწვანე ჩაი. საერთოდ, სჯობს, ჯერ ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ვიფიქროთ“,** – აღნიშნავს სოფლის მეურნეობის ექსპერტი თამაზ კუნჭულია.

თუმცა, სანამ ექსპორტსა და მსოფლიო ბაზრის ტენდენციებს მივხედავთ, შიდა ბაზარზე უნდა გადაიჭრას პრობლემები. საქმე ისაა, რომ 90-იანი წლებიდან მოყოლებული ადგილობრივი პროდუქცია ინტენსიურად იდევნებოდა ბაზრიდან. ერთი პერიოდი ქვეყნის შიგნით ქართული ჩაის წილი 5-7%-მდეც იყო შემცირებული. ამჟამად ვითარება ოდნავ გამოსწორებულია, მაგრამ წარმოების განვითარებისთვის ეს, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია.

საქართველოს ჩაის ასოციაციის ხელმძღვანელის, თენგიზ სვანიძის თქმით, ჩაის ექსპორტი გაიზარდა და ამ მხრივ ბაზარზე სასიკეთო ძვრები გაჩნდა. მისი ინფორმაციით, ეროვნული ჩაის წილი შიდა ბაზარზე უკვე 18-20 პროცენტს შეადგენს. შარშან ეს მაჩვენებელი 15 პროცენტი იყო, ხოლო 2-3 წლის წინათ, დაახლოებით, 10-13 პროცენტი.

**„მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება შიდა ბაზრის ასათვისებლად. ცხადია, ჩვენი ჩაის წილი ქართულ ბაზარზე ჯერ კიდევ დაბალია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები იგეგმება, რომ ბაზარი გააქტიურდეს. მთლიანობაში, სრულად თუ არა, 70 პროცენტამდე მაინც არის შესაძლებელი შიდა ბაზრის ათვისება, მაგრამ ამისთვის დიდი დროა საჭირო და რიგ ღონისძიებებთანაა დაკავშირებული“,** – ამბობს სვანიძე.

ეკა ბაქრაძე,
For.ge

# ნებისმიერი ხელისუფლება თუ ხელისუფალი ხალხისთვის გაკეთებული საქმეებით უნდა ფასდებოდეს!

## მოსაზრებები ზოგიერთი ლაპიდარული გამოთქმის მართებულობის თაობაზე

**ადამიანის ნააზრევის საუკეთესო შემფასებელი დროა. და ის, რაც დროში გამოცდას უძლებს, მკვიდრდება, როგორც ერთგვარი უტყუარი დებულება, რომელსაც უსიტყვოდ ვიზიარებთ. ასეთებს განეკუთვნება, უპირველესად, მოკლედ და კოხტად ჩამოყალიბებული, ე.წ. ლაპიდარული გამოთქმები.**

**ძალზე ძნელია ათეულობით და ასეულობით წლების მანძილზე, თითქოსდა, სამუდამოდ დამკვიდრებული შეხედულებების და, მით უფრო, ლაპიდარული გამოთქმების გადახედვა, მათში ეჭვის შეტანაც კი. ძნელია, რადგანაც მათ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში სისტემატურად აჯერებენ ხალხს (ხალხებს მთელ მსოფლიოში) ისინი, ვინც წესით, ანუ განათლების ცენზით და საზოგადოებაში დაკავებული მდგომარეობით, ვალდებულნი არიან კრიტიკულები იყვნენ ყველაფრის მიმართ, და ფართო საზოგადოებას გასაგები ენით აუხსნან, თუ რასთან გვაქვს საქმე, ვის აწყობს არც მთლად გამართლებული, ზოგჯერ კი, მე ვიტყოდი, მცდარი შეხედულებების დამკვიდრება.**

**გავკადნიერდები და ზოგიერთ გავრცელებულ გამოთქმას, განსაკუთრებით ხშირად ხმარებულს, ჩვენთან დღეს, კრიტიკული თვალით შევხედავ, და შევეცდები მათ ჭეშმარიტებაში „გონიერი ეჭვი“ შევიტანო.**

**რამდენიმე მათგანზე მოგახსენებთ:**

1. ამერიკის პრეზიდენტის აბრამ ლინკოლნის ყველასათვის ცნობილი გამონათქვამი – **„შეიძლება ერთი ადამიანის ყოველთვის მოტყუება, შეიძლება ყველას ერთხელ მოტყუება, მაგრამ შეუძლებელია ყოველთვის ყველას მოტყუება“.**

ამ გამოთქმაში ისე კოხტადაა ერთმანეთთან შერწყმული ფორმა და შინაარსი ყურისთვის და გონებისთვისაც, რომ იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და მასში გამოხატული მოსაზრება ყველამ უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარა, იოტის ოდენა ეჭვიც კი არ შეაქვს არავის. მართლაც, იმდენად ადვილად დასაჯერებელი აზრია მასში ჩადებული, რომ ძნელია არ გაიზიარო იგი კაცმა, მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, და ახლო თუ შორეულ ისტორიასაც გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ნებისმიერ გამოთქმას, რაც არ უნდა ლამაზად იყოს იგი ჩამოქნილი, მაინც სჭირდება ტვინის ხვეულებში დადინჯებულად გატარება.

არ ვიცი, ლინკოლნის დროს ეგებ მართლაც არ იყო შესაძლებელი ყველას მოტყუება ხანგრძლივი დროით და მისი მოსაზრებაც შეეფერებოდა სინამდვილეს, მაგრამ დღეს, ადამიანებზე ზემოქმედების მძლავრი მასმედიის დროში, ამ გამოთქმამ, ვფიქრობ, ძალა დაკარგა. როცა 21-ე საუკუნეში არ ვიცით (აბსოლუტურმა უმრავლესობამ) ამ და გასული საუკუნის რევოლუციების, ომების, ტერორისტული აქტების, საბჭოთა კავშირის დაშლის და, გნებავთ, „დამოუკიდებელი“ საქართველოს „დემოკრატიული აყვავების“ ჭეშმარიტი მიზეზები, როცა მთელ მსოფლიოს გამარჯვებულების მიერ დაწერილი ისტორიებით გვკვებავენ (თან გვავალდებულებენ ვიკვებოთ!), როცა ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის გადახედვას, რევიზიას ტაბუ ადევს საერთაშორისო კანონების(!) ძალით, ვითომ მაინც უნდა ვირწმუნოთ, რომ ერთის კი არა, ყველას გამუდმებით მოტყუება შეუძლებელია?!

ჯერ ერთი, თუკი შესაძლებელია ცალკეულის მოტყუება, მაშინ მთელის (ანუ ყველასი) მოტყუება რატომ გამოირიცხება, მთელი ხომ ცალკეულისგან, ნაწილისგან შედგება?! და მეორეც, როცა ვამბობთ „ყველას“, გასაგებია, რომ ამ „ყველაში“ ხალხის ძალიან დიდი ნაწილი იგულისხმება, და არა – 100% ადამიანებისა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ „ყველას“ ვიღაცა, თუნდაც მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი, მცირე ჯგუფი ადამიანებისა ხომ ატყუებს! ერთხელ მოტყუება გასაგებია რასაც ნიშნავს, ხანგრძლივად მოტყუებაც, მაგრამ გამუდმებით, ყოველთვის მოტყუება რაღაა, რა იგულისხმება? ცოცხალი მატერიისთვის უსასრულო ხომ არაფერია! მაშასადამე, მოტყუება შესაძლებელია მხოლოდ დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე. მაგრამ როგორია ეს მანძილი, რითი იზომება იგი – თვეებით, წლებით თუ საუკუნეებით? ეს გამოთქმა, თითქოსდა, ბიბლიურის – **„არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდების“,** მსგავსია, მაგრამ ბიბლიური გამოთქმა, განსხვავებით ლინკოლნის გამოთქმისგან, სწორია, რადგანაც მასში იგულისხმება რაღაც მოვლენა, ამბავი, რომელიც ადრე თუ გვიან, ანუ ოდესმე მაინც გამჟღავნდება, გაცხადდება. ლინკოლნის გამოთქმაში კი იგულისხმება ადამიანის, ადამიანთა დიდი ჯგუფის (ყველასი) გამუდმებით მოტყუების შესაძლებლობა, რაც სხვა შინაარსის მატარებელია - ადამიანი ერთხელ იბადება და თუ მას მთელი სიცოცხლე ატყუებდნენ, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას, მთლიანად მის თაობას ყოველთვის ატყუებდნენ! თუკი ტყუილის ესტაფეტა თაობიდან თაობასაც გადაეცემა და რომელიღაც თაობაში გამჟღავნდება, აი, მაშინ ეს იქნება ბიბლიური გამოთ[redacted]

ოქროს ძალა ცნობილია, მაგრამ სამსახურიდან დათხოვნა და ულუკმაპუროდ ადამიანის დატოვება არანაკლებ (თუ მეტად არა!) ეფექტურია, ვიდრე ჯიბე-კუჭების გავსება; თან დამშევა ბევრად ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე – დაპურება. ამიტომ პირველ მეთოდს მასებისთვის იყენებენ, ხოლო მეორეს – ბევრად მცირე ნაწილისთვის, მათთვის, ვისაც ზეგავლენა აქვს ამ დამშეულ ხალხზე – კულტურა-ხელოვნება-მეცნიერების წამყვანი მუშაკებისთვის.



ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თავ-თავიანთი სისუსტეებით, და ამიტომაც, მათი გაჩუმება-განეიტრალება (მატყუარების, ანუ ძალაუფლების მქონეთა მხრიდან) სწორედ ამ სისუსტეებიდან გამომდინარე ხორციელდება ყველასათვის ნაცნობი მეთოდებით: დაბრკოლებების შექმნით (დახშობა გამომცემლობა-ტრიბუნა-ეკრანისა), შანტაჟით და ფიზიკური ანგარიშსწორებით (მუქარა, ციხე, საიქიო) და ყველაზე ეფექტურით – ჯიბე-კუჭების დაცლით ან, პირიქით, ამოვსებით.

ოქროს ძალა ცნობილია, მაგრამ სამსახურიდან დათხოვნა და ულუკმაპუროდ ადამიანის დატოვება არანაკლებ (თუ მეტად არა!) ეფექტურია, ვიდრე ჯიბე-კუჭების გავსება; თან დამშევა ბევრად ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე – დაპურება. ამიტომ პირველ მეთოდს მასებისთვის იყენებენ, ხოლო მეორეს – ბევრად მცირე ნაწილისთვის, მათთვის, ვისაც ზეგავლენა აქვს ამ დამშეულ ხალხზე – კულტურა-ხელოვნება-მეცნიერების წამყვანი მუშაკებისთვის. გაჭირვებულ ფენასთან ერთად სწორედ განათლებული და საპატივცემულო ხალხის მოქრთამვის შესაძლებლობამ შვა ცნობილი გამოთქმა იმის თაობაზე, რომ **„ყველაფრის ყიდვა შეიძლება“!** მართალია, შედარებით პატიოსანმა ხალხმა ამას დაუპირისპირა: **„ყველაფერი არ იყიდება“,** მაგრამ ადამიანის ბუნების კარგად მცოდნეებმა მას უტყუარი არგუმენტი შეაგებეს: **„რისი ყიდვაც ფულით არ ხერხდება, იმის ყიდვა დიიიდი(!) ფულით შეიძლება“!** ასე იყო ყველა დროში და ყველა ხალხში, და ასე იქნება მომავალშიც (მაგალითების მოყვანა, ვფიქრობ, ზედმეტია).

მაგრამ არ არსებობს არაფერი გამონაკლისის გარეშე, და როგორ გინდა ყველა მოქრთამო ან დააშინო, პირი ამოუკერო, სიმართლე არ ათქმევინო, ხომ დარჩება ყოველთვის ისეთი ხალხიც, რომელსაც ვერაფერს ვერ მოუხერხებ, და ისინი თავიანთ სათქმელს მაინც იტყვიან. უდავოდ! ამ შემთხვევაში იყენებენ ამ ადამიანების ნათქვამ-დაწერილის სრული იგნორირების ან გაქილიკების მეთოდს. მაგრამ ამ მეთოდმა, მიუხედავად მისი დიდი ეფექტურობისა, შეიძლება, ყოველთვის არ გამოიღოს სასურველი შედეგი. ამიტომაც, ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად და სიმართლესთან ბრძოლის გასაიოლებლად, ანუ ტყუილების უკვდავსაყოფად, იმათ, ვისაც ეს ხელეწიფება, ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაუმატეს საკანონმდებლო მეთოდებიც – სპეცკანონები, რომლებითაც განსაზღვრულ თემებზე (და პიროვნებებზეც!) საჯაროდ პირის გაღება, თუნდაც დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, დიდ ჯარიმას და მრავალწლიან სასჯელს ითვალისწინებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ასეთი კანონები მიიღეს ყველაზე დემოკრატიულად ცნობილ კონტინენტზე – ევროპაში, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ სწორედ აქ არის განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების სიჭარბე და, მაშასადამე, საშიშროებაც სიმართლის გამჟღავნებისა! თითო-ოროლა, ძირითადად, ინტერნეტით გაპარულ სიმართლეს კი, სამწუხაროდ, ვერ მოჰყავს გაზაფხული, იგი უბრალოდ ინთქმება სიცრუის მორევში.

2. ახლა, მეორე, ასევე ფართოდ გავრცელებული გამოთქმა: **„ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რისი ღირსიც არის“,** განვიხილოთ. ვითომ, ასეა მართლა?!

შინაარსობრივად აბსოლუტურად არასწორი და არაფრით გამყარებული ეს, ერთი შეხედვით, უტყუარი გამოთქმა იგივე საჭეთმპყრობელების და მათი მაამებლების წყალობითაა შემორჩენილი ისტორიას. ამ გამოთქმით, ანუ ხალხზე გადაბრალებით ხდება უზურპატორების სათავეში ყოფნის გამართლება, თითქოსდა, მათი მოსვლა-არმოსვლა ხელისუფლებაში ხალხის ნება-სურვილით წყდებოდეს. გამოთქმის აბსურდულობის დამადასტურებელი მაგალითები უამრავია ყველა ხალხის ისტორიაში, მაგრამ მთელ მსოფლიოს რომ არ მოვედოთ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი საბჭოთა კავშირის მაგალითზე ვიკითხოთ: თუ ხალხზე, მის ღირსებაზეა დამოკიდებული სასურველი ხელისუფალის შერჩევა, როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკის ხალხებმა, ყველამ ერთდროულად, „დაიმსახურეს“ ბოლშევიკური რეჟიმი? დავიჯეროთ, ყველა ამის ღირსი იყო? და 70 წლის შემდეგ, უცებ ყველა ერმა ერთდროულად დაიბრუნა დაკარგული ღირსება და გადააგდო კომუნისტები?! ან, დიდი გერმანელი ერი 12 წელი ფაშისტურ მთავრობას იმსახურებდა და მერე შეიცვალა, როგორც ერი?!

ერები ასე ადვილად, 12 და 72 წელიწადში არ იცვლებიან; შედარებით ადვილად და მოკლე დროში იცვლება მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც თითქმის არასოდეს არ მოდის ხალხის ჭეშმარიტი ნება-სურვილით – ხალხს, როგორც წესი, ატყუებენ ბინძურ პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი დილოსტატი გაიძვერები. გულუბრყვილო ხალხის ტვინის ყოველდღიური გამორეცხვებით და სხვა უზნეო ქმედებებით მოგვასვამენ კისერზე თავიანთ შექმნილ-დაფინანსებულ ორგანიზაციებში („თავისუფლების ინსტიტუტისნაირებში“) გამოზრდილ მანქურთებს და მერე, მამა აბრამის ბატკნებივით უდანაშაულოების პოზასაც დაიჭერენ: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ვინც თქვენ აირჩიეთ, ანუ რისი ღირსნიც(!) ხართ, ის ხელისუფლება მიიღეთ, მის პოლიტიკაში თუ რამ არ მოგწონთ, თქვენ თავს დააბრალეთო. აბა, იმას ვინ გვეტყვის „დემოკრატიული არჩევნების და გამჭვირვალობის“ სახელებით ცნობილი სპექტაკლები ჩვენი დადგმულიაო.

მიუხედავად ისტორიულად მრავალჯერ დადასტურებული ფაქტისა – საზოგადოების განვითარებაში პიროვნების განმსაზღვრელი როლისა, დაწყებული 2009 წლის ზაფხულიდან (როცა, ფაქტობრივად, ჩაკვდა საპროტესტო მოძრაობა და ლიდერებმაც, პრაქტიკულად, დაკარგეს ხალხის ნდობა) ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამდე (2011 წლის ოქტომბრამდე), ზოგიერთი თვითკრიტიკის მოყვარულისგან, უფრო სწორად, ყველაფრის ხალხზე გადამბრალებლებისგან ხშირად გვესმოდა (და დღესაც გვესმის, შიგადაშიგ) – რაც გვჭირს, ჩვენი ბრალია, რომ ამერიკამ ან რუსეთმა კი არ დაგვისვა (თუ დაგვასვა!) ეს ხელისუფლება, არამედ, ჩვენ, ხალხმა ავირჩიეთ ისინი, ვინც ავირჩიეთო. ის, რომ ჩვენ ავირჩიეთ 2004 (და არა – 2008!) წლის არჩევნებში, აბსოლუტური სიმართლეა, მაგრამ აღარ ხდება იმის გაშიფვრა, თუ როგორ მოხდა, რომ თითქმის ყველანი, უდიდესი უმრავლესობა გაწბილებულნი, პირდაპირ მოტყუებულნი დავრჩით ამ „ნარჩევი“ და დასავლეთში განათლებამიღებული ხალხის მიერ. მოტყუებულებში ხომ ძალიან ბევრი განათლებული ადამიანიც შედიოდა და მათაც ვერ გათვალეს ის მოსალოდნელი საფრთხეები, რომელთა წინაშეც სულ მალე აღმოვჩნდით. რატომ ვერ ჩავწვდით (ჩემი ჩათვლით) იმ საკენკის მაცდურობას, ასე ლამაზად შეფუთული რომ შემოგვთავაზეს? მაინტერესებს, რაშია აქ ხალხის – მშრომელი კაცის, გლეხის ბრალი, როცა ყოვლისმცოდნეობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსები ვერ მიხვდნენ დასავლეთის (ზოგ „მიხვედრილს“ რომ ჰკითხო – ჩრდილოეთის) მზაკვრულ ჩანაფიქრს, ან მიხვდნენ და მაინც ხმა არ ამოიღეს რაღაც მიზეზით (ერთორგონებაგახსნილ და პატიოსან [redacted]

ერები ასე ადვილად, 12 და 72 წელიწადში არ იცვლებიან; შედარებით ადვილად და მოკლე დროში იცვლება მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც თითქმის არასოდეს არ მოდის ხალხის ჭეშმარიტი ნება-სურვილით – ხალხს, როგორც წესი, ატყუებენ ბინძურ პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი დილოსტატი გაიძვერები. გულუბრყვილო ხალხის ტვინის ყოველდღიური გამორეცხვებით და სხვა უზნეო ქმედებებით მოგვასვამენ კისერზე თავიანთ შექმნილ-დაფინანსებულ ორგანიზაციებში („თავისუფლების ინსტიტუტისნაირებში“) გამოზრდილ მანქურთებს და მერე, მამა აბრამის ბატკნებივით უდანაშაულოების პოზასაც დაიჭერენ

პიროვნება

# კაცი, რომელიც სამართლიანობას პატივისცემით ეკიდებოდა



**40 დღე გავიდა თვალსაჩინო ქართველი ფილოსოფოსის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოში ეთიკის პრობლემების კვლევის მესვეურის, პროფესორ გერონტი შუშანაშვილის გარდაცვალებიდან.**

გ. შუშანაშვილი დაიბადა 1939 წელს თიანეთის რაიონის სოფელ თიანეთში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1964 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფილოსოფიის სპეციალობით. 1965 წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის სრული კურსის დასრულების შემდეგ (1968 წ.) ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, იქვე უმცროს მეცნიერ თანამშრომლად მისი დატოვების შესახებ. 1972, წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ, იმავე საბჭომ იგი გადაიყვანა უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო პროფ. გ. ბანძელაძის გარდაცვალების შემდეგ (1985 წ.) აირჩია ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგედ. ამ თანამდებობაზე იმუშავა 2011 წლამდე; 2004-05 წლებში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

1965 წელს თბილისში (ფილოსოფიის ინსტიტუტში) გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ღირებულების პრობლემას მიეძღვნა. ამის შემდეგ აღნიშნულმა პრობლემამ, როგორც ცნობილია, დომინანტური ადგილი დაიკავა ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითს საქმიანობაში. სწორედ ღირებულების პრობლემატიკის კვლევას ეთიკაში მიუძღვნა გ. შუშანაშვილმა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

1969 წელს ფილოსოფიის სერიის ჟურნალ „მაცნეში“ გამოქვეყნდა ბატონი გერონტის პირველი სამეცნიერო სტატია სათაურით: „კანტის ეთიკის შელერისეული კრიტიკის ანალიზი“, ხოლო უფრო ვრცლად და საფუძვლიანად აღნიშნული თემა გაშუქებულია გ. შუშანაშვილის მონოგრაფიაში „ზნეობრივი ღირებულების სპეციფიკა“, რომელიც დაიბეჭდა 1982 წელს. ამ მონოგრაფიაში ეთიკის სივრცეში მან პირველმა შემოიტანა ზოგადი აქსიოლოგიის პრობლემები, კერძო აქსიოლოგიურ პრობლემებთან ერთად. ამ შრომამ სამეცნიერო საზოგადოების დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1985 წელს გამოქვეყნდა გ. შუშანაშვილის მონოგრაფია „ღირებულების პრობლემა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები“, ხოლო 1987 წელს დაიბეჭდა მისი მონოგრაფიული გამოკვლევა „ფენომენოლოგიური ეთიკის კრიტიკა“, რომელშიც ფენომენოლოგიური აქსიოლოგიისა და ფენომენოლოგიური ეთიკის მნიშვნელოვანი პრობლემებია განხილული. სწორედ ეს გამოკვლევა წარადგინა მან 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დაცვიდან რამდენიმე თვეში გ. შუშანაშვილს მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1993 წელს – პროფესორის წოდება.

აქსიოლოგიისა და ღირებულებითი ეთიკის აქტუალური პრობლემებია განხილული გ. შუშანაშვილის მიერ ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებულ მრავალ სამეცნიერო სტატიასა და წერილში; ეთიკური და აქსიოლოგიური აზრის განვითარებას ეძღვნება მისი ვრცელი წერილი „ეთიკა და აქსიოლოგია XX საუკუნის საქართველოში“, რომელიც დაიბეჭდა წიგნში „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია“ (ტ. IV, თბ, 2003). რაც შეეხება მის მონოგრაფიას – „გამოყენებითი ეთიკის საფუძვლები“ (თბ, 2004), იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ნაჩვენებია ეთიკის ამ დარგის თეორიული დაფუძნების შესაძლებლობა.

უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოაღნიშნული ნაშრომი ავტორს, როგორც წესი, განხილული აქვს მისთვის დამახასიათებელი საფუძვლიანობით, მეცნიერული სიღრმითა და კეთილსინდისიერებით.

გ. შუშანაშვილის სამეცნიერო საქმიანობის ერთგვარ დაფასებად და აღიარებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მას (ავტორთა ჯგუფთან ერთად) „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულში“ გამოქვეყნებული ნაშრომისათვის 2011 წელს მიენიჭა სახელმწიფო პრემია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა დარგში.

ცნობილია დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ი. გ. ფიხტეს აზრი იმის თაობაზე, რომ „რა ფილოსოფიას აირჩევს ადამიანი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადამიანია იგი“. ვფიქრობთ, რომ კვლევა - ძიების, მეცნიერული ინტერესის საგნად ფილოსოფიის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი სფეროს – ეთიკის პრობლემატიკის – არჩევით გ. შუშანაშვილმა ახალგაზრდობაშივე გააკეთა გაბედული განაცხადი, რის შესრულებასაც მიუძღვნა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გ. შუშანაშვილი, როგორც იშვიათი პიროვნული თვისებებითა და ღირსებებით გამორჩეული ადამიანი, არა მარტო თეორიულად იკვლევდა ღირებულების პრობლემებს, არამედ პრაქტიკულადაც მაღალი ღირებულებებისა და ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად მოქმედებდა. ნებისმიერ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობითა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით ეკიდებოდა და სხვებისაგანაც ამას მოითხოვდა, რისი მორალური უფლება მას ნამდვილად ჰქონდა, ვინაიდანაც, როგორც არისტოტელე ამბობს, სამართლიანობას პატივისცემით ის ეკიდება, ვინც თვითონ არის სამართლიანი.

ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად გ. შუშანაშვილი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც არა მარტო თეორიას ასწავლიდა, არამედ ჰუმანურობისა და ზნეობრიობის საუკეთესო პირად მაგალითსაც უჩვენებდა ახალგაზრდობას..

გერონტი შუშანაშვილი მაღალი ზნეობისა და სულიერების ადამიანი იყოო რომ ვამბობთ, ამაში იმასაც ვგულისხმობთ, რომ იგი იყო სანიმუშო მეუღლე, საუკეთესო მამა და პაპა, ერთგული მეგობარი, საიმედო მეზობელი, გულითადი მასპინძელი და ა.შ. მის დიდ კაცობაზე ისიც მიუთითებს, რომ როგორც კი აფხაზეთთან მდგომარეობა დაიძაბა, მისი ორივე ვაჟი მაშინვე მოხალისეებად წავიდნენ საომრად და ქვეყნის მთლიანობის დასაცავად. ამ ომში უმცროსი ვაჟი (გია) დაიღუპა. უფროსი ძმა (მინდია) უმცროსი ძმის დაკრძალვაზე ჩამოვიდა, მშობლებისა და ახლობლების დიდი ხვეწნა-მუდარით მის ორმოცამდეც დარჩა, მაგრამ მერე ისევ საომრად წავიდა. კითხვაზე: ერთი შვილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, მეორეს კატეგორიულად რატომ არ აუკრძალე ისევ საომრად წასვლაო, გერონტიმ სრულიად გულწრფელად და ალალად უპასუხა: მთელი ცხოვრება სამშობლოს სიყვარულსა და მისადმი თავდადებას ვასწავლიდი და აბა, ახლა როგორღა უნდა დამეშალა წასვლაო.

აი, ასეთი პატრიოტული სულის პატრონი იყო ბატონი გერონტი, რადგან იგი დიდი ილიას სიტყვებით იყო შთაგონებული: შვილი ჯერ ქვეყნისაა, მერე კი დედისა და მამისო!

აი, ასეთი მაღალი ზნეობისა და სულის ადამიანი დავკარგეთ ჩვენ, მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა, მასზე შეყვარებულმა სტუდენტობამ.

ბატონი გერონტის გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისა და კულტურისთვის. იგი ღირსეული კაცი იყო და ღირსეულადვე განვლო ეს წუთისოფელი. ამიტომ, ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ მისი სული, რომელიც დღეს დატოვებს ამ ცოდვილიან დედამიწას, ცათა სასუფეველში დაემკვიდრება, მისი ომში დაღუპული ვაჟიშვილის გვერდით, სახელი კი კიდევ დიდხანს იცოცხლებს მისი მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების გულებში!

ღმერთო დიდებულო, ისმინე ჩვენი ვედრება და ნათელში გვიმყოფე მისი კეთილშობილი სული!

**კოლეგები და მეგობრები**

ეკოლოგია

# უფრთხილდებიან ფილტვებს, ღუპავენ ფილტვებს

**ზესტაფონი წლების განმავლობაში ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას. მარტო შარშან ქალაქსა და მიმდებარე რაიონებში სიმსივნური დაავადების 1133 შემთხვევა აღინუსხა.**

ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა კომპანია „ჯორჯიან მანგანუმ ლიმიტელის“ საკუთრებაა. და არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, საწარმო კვლავ დამცავი ფილტრების გარეშე მუშაობს და ატმოსფეროში აბნევს გამონაბოლქვ მავნე ნივთიერებებს.

„მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე აცხადებს, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ელექტროენერგიას ზოგავს და ფილტრებს არ რთავს. ჰაერში კი მავნე ნივთიერებები იფრქვევა. გარემოს სასტიკად დაბინძურების გამო შესაძლოა, ქალაქში მჟავე წვიმა მოვიდეს, რაც ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის კატასტროფის მომასწავებელი იქნება, – ამბობს ჩხობაძე და იქვე განმარტავს – „ფერო“ მაროკოდან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობს, რომელშიც დასაშვებზე ბევრად მაღალია გოგირდის შემცველობა.

საინიციატივო ჯგუფი „გადავარჩინოთ ზესტაფონი“ აცხადებს, რომ მათ ქარხნის ხელმძღვანელობა დაჰპირდა 5 მაისიდან ახალი ფლიტრების დაყენებას. დააყენეს კიდეც. მაგრამ რად გინდა, ახალი ფილტრი, თუ ის არ ჩართე? საწარმოდან ისევ მოედინება მომწამვლელი მასა.

კიდევ უფრო შორს მიდის ა/ო „ძლიერი და ჯანსაღი „ზესტაფონის“ ხელმძღვანელი მამუკა მახათაძე. მისი თქმით, „ჯორჯიან მანგანუმ ლიმიტედს“ შემოაქვს არასერტიფიცირებული მაროკოს მადანი, რომელშიც არნახულად დიდია ტყვიის შემცველობა. ახლადშემოტანილი ფილტრები არაეფექტური თბომასალისგან არის დამზადებული და ამიტომაცაა, რომ ზესტაფონში ხილი, მიწა და წყალიც კი დაბინძურებული და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშიაო.



სხვადასხვა დარგის სპეციალისტების განმარტებით, მანგანუმი პირდაპირ მოქმედებს ადამიანის ტვინზე, ფსიქიკასა და ძვლოვან სისტემაზე. სილიკო მანგანუმის მტვერი უარყოფითად მოქმედებს სისხლძარღვებზე და იწვევს ასთმურ მოვლენებს.

დარგის სპეციალისტები მიესალმებიან ერთ-ერთი გამონაკლისის სახით ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას და მიაჩნიათ, რომ მრეწველობა აუცილებლად უნდა განვითარდეს, მაგრამ, ამასთანავე, ისინი კომპანიის მესვეურთ ურჩევენ ქარხანაში დაიდგეს მტვრის მიკროსკოპული გამწმენდი დანადგარები, რომლებიც მას დაიჭერენ, რითაც გარემოსაც დაიცავენ განადგურებისგან და დაჭერილ მტვერსაც მეორად ნედლეულად გამოიყენებენ.

გარდა ამისა, სპეციალისტებს საჭიროდ მიაჩნიათ, ყველა საწარმოს ჩაუტარდეს ეკოლოგიური ექსპერტიზაც, რის შემდეგაც ყველა საწარმოში დაუშვან ერთი განათლებით ეკოლოგის შტატი. ამგვარი პრაქტიკა საზღვარგარეთ დანერგილია და წარმატებითაც.

„ფერო“ ჩვენს რეალობაში ერთადერთი საწარმო არ არის. ანალოგიური მდგომარეობაა ბოლნისის „მადნეულში“. რაიონში ონკოლოგიური დაავადებების კონცენტრაცია შეინიშნება. ბოლო დროს ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევებით, 706 შემოწმებული ქალბატონიდან 253-ს სარძევე ჯირკვლის ფიბროზული მასტოპატია აღმოაჩნდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოში მოქმედებს გარემოს დაცვის მარეგულირებელი კანონი, რომელიც დამბინძურებლებისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა სახის სასჯელს, მაგრამ ნაცმოძრაობელთა „წყალობით ის არ მოქმედებს. გარემოს დაცვის სამინისტროს ამისთვის არ სცალია. გაპოლიტიკოსებული მომღერალი მინისტრი უფრო „მასობრივი“ საქმეებითაა დატვირთული და თბილისში, რუსთაველზე გარემოს დაცვის ეგიდით ახალგაზრდების მასობრივ გარბენებსა და მარათონებს აწყობს.

**ზაზა ბილიხოძე**

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
# ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება
## სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | 3079,4 | 30 794 | 6 158,8 |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] www.[illegible].gov.ge |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |
| | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

## დედამიწის ზურგზე




### იორდანია სირიის ომში აღმოჩნდა ჩათრეული, როდესაც დევნილების საზღვარზე იარაღით იცავდა

იორდანიის არმიის ორმა ჯავშანტრანსპორტიორმა ცეცხლი გაუხსნა სირიის არმიის საზღვრისპირა ბლოკპოსტს. ეს გაკეთდა იმის პასუხად, რომ მათ დევნილთა ჯგუფს გაუხსნეს ცეცხლი, რომლებიც გადავიდნენ სირია-იორდანიის საზღვარზე და უკვე იმყოფებოდნენ იორდანიის ტერიტორიაზე. უფრო ადრე იორდანიაში გაიქცა სირიის პრემიერ-მინისტრი.



* * *

### ფილიპინებზე წყალდიდობის მსხვერპლთა რიცხვი 92-მდე გაიზარდა

კიდევ ოთხი კაცი ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. სულ 2 დღე-ღამის განმავლობაში ქვეყნის დედაქალაქში მოვიდა ნალექების თვის ნორმაზე მეტი, რის შედეგადაც მდინარეები დიდი მანილის რაიონში ნაპირზე გადმოვიდნენ.

* * *

### კენიის ცაზე უგანდიდან რამდენიმე სამხედრო შვეულმფრენი დაიკარგა

საბრძოლო შვეულმფრენების ჯგუფი უგანდის აეროდრომ ენტებედან გაფრინდა სომალიში სამშვიდობო კონტინგენტის გასაძლიერებლად. საგეგმო გაწყობისთვის კენიის ქალაქ ვაჯირში ხმელეთზე დაეშვა მხოლოდ ერთი მათგანი.

* * *

### ირანის მიწისძვრით დაზარალებულ პროვინციაში გლოვა გამოცხადდა

სხვადასხვა მონაცემებით, 227-დან 300 კაცამდე დაიღუპა. ხელისუფლებამ და შესაბამისმა სამედიცინო დაწესებულებებმა შეძლეს, ამოეცნოთ მხოლოდ ნახევარი მიწისძვრით დაზარალებულ მსხვერპლთაგან. მუსულმანური ტრადიციების თანახმად, მცხოვრებლები ჩქარობენ, მიწას მიაბარონ დაღუპულები მზის ჩასვლამდე, და ამიტომ არ ელოდებიან დოკუმენტების მიღებას.



ლონდონი — 2012

# მაჟორულ ნოტზე



**ლონდონის ოლიმპიური თამაშების ბოლო სამი დღე ჩვენთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ სარბიელზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გავიდნენ. „ჯვაროსანთა“ შვიდეულმა ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით ორ-ორი ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვა.**

ქართველ ფალავანთაგან, ვისიც ძალიან გვეიმედებოდა, 55 კილოში მოასპარეზე ვლადიმერ ხინჩეგაშვილი იყო. გორელმა მოჭიდავემაც იმედები არ გაგვიცრუა — მეორე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რომ ვერ ავიდა, არბიტრების სინდისზეა. ეს რომ ნამდვილად ასეა, ისიც მოწმობს, რომ შეჯიბრების მეორე დღეს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე ფინალური შეხვედრის მსაჯები დისკვალიფიკაციით დასაჯეს, თუმცა ამით ჩვენ რა? — შედეგი არავის შეუცვლია.



ლადო ხინჩეგაშვილი

ხინჩეგაშვილმა პირველ წრეში უტიტულო ეგვიპტელ იბრაჰიმ ფარაქ აბდელჰაკიმ მოჰამედს სამ სეტში მოუგო, მერე მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიური თამაშების ბულგარელ პრიზიორ რადოსლავ ველიკოვ მარინოვს აჯობა და შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხისთვის რევანში აიღო. მესამე წრეში ვლადიმერ მესტვირიშვილის გაწვრთნილ ინდოელს — ამიტ კუმარს დააყრევინა ფარ-ხმალი, ნახევარფინალში იაპონელი შინიჩი იუმოტო დაჯაბნა და გადამწყვეტ პაექრობაში ევროპის სამგზის ჩემპიონ ჯამალ ოთარ სულთანოვს დაუპირისპირდა. ჩეჩენმა ფალავანმა, რომელიც რუსეთის სპორტულ ღირსებას იცავს, შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ ხინჩეგაშვილს აჯობა, წლეულს — ბესიკ გუჩაშვილს. ამჯერად პირველი პერიოდი რუსეთელმა მოიგო. მეორეში, როცა ანგარიში იყო 3:3, ლადომ ფეხებში მორიგი ვარდნით მეტოქე ილეთზე წამოაგო, მაგრამ მსაჯებმა არ ჩაუთვალეს. სწორედ ეს ეპიზოდი გახდა საკამათო, რომელმაც ჩვენებურს მესამე პერიოდში პაექრობის გაგრძელების საშუალება არ მისცა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

იმავე დღეს სარბიელზე გავიდა დავით ხუციშვილი (74), რომელმაც პირველ წრეში მონღოლ უნურბატ პურევჯავს სძლია, მაგრამ რუსეთელ აფხაზ დენის ცარგუშთან დამარცხდა.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში პაექრობა კარგად დაიწყო მალხაზ ზარქუამ — უკრაინელ ევროპის სამგზის ჩემპიონს, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორ ვასილ ფედორიშინს აჯობა, მაგრამ მომდევნო წრეში ამერიკელ ლუის კოლემან სკოტს დანებდა. ვერც პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანმა ოთარ თუშიშვილმა (66 კგ) გაამართლა იმედები — 34 წლის გორელი ფალავანი სტარტზევე უზბეკ იხტიორ ნოვრუზოვთან დამარცხდა. ამ უკანასკნელმა ინდოელ სუშილ კუმართან წააგო და ჩვენებურიც მე-12 ადგილზე დარჩა.



გიორგი გოგშელიძე

84 კილოში დავით მარსაგიშვილმა წლეულს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე იყო, ამდენად, ლონდონში ოლიმპიური ოქროს მედლის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ჩავიდა, მაგრამ, ეტყობა, 21 წლის ფალავანმა ჯერ ვერ მოასწრო „დალვინება“ და საჩემპიონოდ სათანადო გამოცდილების მიღება. ასპარეზობის სტარტზე მან იოლად ჩამოიშორა გზიდან მონღოლი უიტუმენ ორგოდოლი — 9:2, 7:4. მერე პუერტორიკოელ ხაიმე იუსუპ ესპინალისთან პაექრობისას 4:0 დაწინაურდა და... მოხდა სასწაული: მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მიეცა. ბოლო ქულის წყალობით ხაიმე დაწინაურდა მეორე პერიოდი კი პირწმინდად მოუგო ჩვენებურს. შემდეგ ფინალშიც გავიდა და მარსაგიშვილი დამამშვიდებელში გაიყოლა. დათომ იქ ბელარუსი სოსლან გასიევი დაჯაბნა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. მსგავსი ჯილდო ერგო გორელ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონს, პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი გოგშელიძეს. ჩვენებური ნახევარფინალში ამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორ იაკობ უორნერთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი უზბეკ ყურბან ყურბანოვს აჯობა.



დავით მარსაგიშვილი

საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ვერცხლის მედალი მძიმეწონოსანმა დავით მოძმანაშვილმა მოუტანა. ნახევარფინალში დათომ რუს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ბილიალ მახოვს დააყრევინა ფარხმალი, გადამწყვეტ პაექრობაში კი ლეგენდად ქცეულ უზბეკს — არტურ ტაიმაზოვს ვერ გაუმკლავდა და მეორე ადგილს დასჯერდა. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ტაიმაზოვი ჭიდაობის სამყაროში ალექსანდრ მედველის, ალექსანდრ კარელინისა და ბუვაისა საიტიევის შემდეგ მეოთხე ფალავანია, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედალი მესამედ დაიმსახურა (მას ერთი ოლიმპიური ვერცხლიც აქვს).



დავით მოძმანაშვილი

საქართველოს სპორტსმენებმა ლონდონში ოლიმპიური თამაშები შვიდი მედლით (ერთი ოქრო, სამი ვერცხლი, სამი ბრინჯაო) დაასრულეს და მექსიკასთან ოცდამეთვრამეტე-ოცდამეცხრამეტე ადგილები გაიყვეს. 2016 წლის ოლიმპიური თამაშები რიო დე ჟანეიროში (ბრაზილია) გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე**

## მედლების ნუსხა

| | ქვეყანა | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 46 | 29 | 29 | 104 |
| 2 | ჩინეთი | 38 | 27 | 22 | 87 |
| 3 | ბრიტანეთი | 29 | 17 | 19 | 65 |
| 5 | რუსეთი | 24 | 25 | 33 | 82 |
| 5 | ს. კორეა | 13 | 8 | 7 | 28 |
| 6 | გერმანია | 11 | 19 | 14 | 44 |
| 7 | საფრანგეთი | 11 | 11 | 12 | 34 |
| 8 | იტალია | 8 | 9 | 11 | 28 |
| 9 | უნგრეთი | 8 | 4 | 5 | 17 |
| 10 | ავსტრალია | 7 | 16 | 12 | 35 |
| 11 | იაპონია | 7 | 14 | 17 | 38 |
| 12 | ყაზახეთი | 7 | 1 | 5 | 13 |
| 13 | ჰოლანდია | 6 | 6 | 8 | 20 |
| 14 | უკრაინა | 6 | 5 | 9 | 20 |
| 15 | კუბა | 5 | 3 | 6 | 14 |
| 16 | ა. ზელანდია | 5 | 3 | 5 | 13 |
| 17 | ირანი | 4 | 5 | 3 | 12 |
| 18 | იამაიკა | 4 | 4 | 4 | 12 |
| 19 | ჩეხეთი | 4 | 3 | 3 | 10 |
| 20 | ჩ. კორეა | 4 | – | 2 | 6 |
| 21 | ესპანეთი | 3 | 10 | 4 | 17 |
| 22 | ბრაზილია | 3 | 5 | 9 | 17 |
| 23 | ბელარუსი | 3 | 5 | 5 | 13 |
| 24 | ს. აფრიკა | 3 | 2 | 1 | 6 |
| 25 | ეთიოპია | 3 | 1 | 3 | 7 |
| 26 | ხორვატია | 3 | 1 | 2 | 6 |
| 27 | რუმინეთი | 2 | 5 | 2 | 9 |
| 28 | კენია | 2 | 4 | 5 | 11 |
| 29 | დანია | 2 | 4 | 3 | 9 |
| 30 | პოლონეთი | 2 | 2 | 6 | 10 |
| 30 | აზერბაიჯანი | 2 | 2 | 6 | 10 |
| 32 | თურქეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 33 | შვეიცარია | 2 | 4 | – | 4 |
| 34 | ლიტვა | 2 | 1 | 2 | 5 |
| 35 | ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 36 | კანადა | 1 | 5 | 12 | 18 |
| 37 | შვედეთი | 1 | 4 | 3 | 8 |
| 38 | კოლუმბია | 1 | 3 | 4 | 8 |
| 39 | საქართველო | 1 | 3 | 3 | 7 |
| 39 | მექსიკა | 1 | 3 | 3 | 7 |
| 41 | ირლანდია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 42 | არგენტინა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 42 | სლოვენია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 42 | სერბეთი | 1 | 1 | 2 | 4 |
| 45 | ტუნისი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 46 | დომინიკის რ. | 1 | 1 | – | 2 |
| 47 | ტრინიდადი | 1 | – | 3 | 4 |
| 47 | უზბეკეთი | 1 | – | 3 | 4 |
| 49 | ლატვია | 1 | – | 1 | 2 |
| 50 | ალჟირი | 1 | – | – | 1 |
| 50 | ბაჰამები | 1 | – | – | 1 |
| 50 | გრენადა | 1 | – | – | 1 |
| 50 | უგანდა | 1 | – | – | 1 |
| 50 | ვენესუელა | 1 | – | – | 1 |
| 55 | ინდოეთი | – | 2 | 4 | 6 |
| 56 | მონღოლეთი | – | 2 | 3 | 5 |
| 57 | ტაილანდი | – | 2 | 1 | 3 |
| 58 | ეგვიპტე | – | 2 | – | 2 |
| 59 | სლოვაკეთი | – | 1 | 3 | 4 |
| 60 | სომხეთი | – | 1 | 2 | 3 |
| 60 | ბელგია | – | 1 | 2 | 3 |
| 60 | ფინეთი | – | 1 | 2 | 3 |
| 63 | ბულგარეთი | – | 1 | 1 | 2 |
| 63 | ესტონეთი | – | 1 | 1 | 2 |
| 63 | ინდონეზია | – | 1 | 1 | 2 |
| 63 | მალაიზია | – | 1 | 1 | 2 |
| 63 | პუერტო რიკო | – | 1 | 1 | 2 |
| 63 | ტაიპეი | – | 1 | 1 | 2 |
| 69 | ბოტსვანა | – | 1 | – | 1 |
| 69 | კვიპროსი | – | 1 | – | 1 |
| 69 | გვატემალა | – | 1 | – | 1 |
| 69 | მონტენეგრო | – | 1 | – | 1 |
| 69 | პორტუგალია | – | 1 | – | 1 |
| 75 | საბერძნეთი | – | – | 2 | 2 |
| 75 | მოლდოვა | – | – | 2 | 2 |
| 75 | ყატარი | – | – | 2 | 2 |
| 75 | სინგაპური | – | – | 2 | 2 |
| 79 | ავღანეთი | – | – | 1 | 1 |
| 79 | ბაჰრეინი | – | – | 1 | 1 |
| 79 | ჰონ კონგი | – | – | 1 | 1 |
| 79 | ს. არაბეთი | – | – | 1 | 1 |
| 79 | კუვეიტი | – | – | 1 | 1 |
| 79 | მაროკო | – | – | 1 | 1 |
| 79 | ტაჯიკეთი | – | – | 1 | 1 |

# ბოლო აკორდები




**ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკის „ოცნების გუნდმა“ მოიგო, თუმცა საამისოდ ნბა-ს ვარსკვლავებით გაძეძგილ კრებულს დიდი ბრძოლა გადახდა თავს.**

კობი ბრაიანტთან, ლებრონ ჯეიმსთან, კევინ დიურანტთან და კომპანიასთან ღირსეულად გამკლავება რომ უტოპიური სულაც არ არის, ჯერ კიდევ ჯგუფურ რაუნდში დაამტკიცეს ლიტველებმა, როცა გათამაშების მთავარი ფავორიტის დასაჩოქებლად მცირედი დააკლდათ — 94:99.

ბალტიისპირელთა მაგალითს ფინალში ესპანეთმა მიბაძა, მაგრამ სენსაცია ვერც მან მოახდინა — 100:107, არადა მსოფლიოსა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა წინა ეტაპებზე გაჭირვებით დაძლიეს ფრანგულ-რუსული წინაღობები და ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ისინი ასე აანერვიულებდნენ ოკეანისგაღმელთა ქომაგებს.

ხელბურთელთა ასპარეზობის ფინალში შვედები მეოთხედ გავიდნენ. თუმცა მოჯადოებული წრე ვერც ამჯერად გაარღვიეს და ფრანგებთან უმძაფრესი დუელის შემდეგ კვლავ უტიტულოდ დარჩნენ — 21:22.

იგივე ხვედრი ერგო ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებს, რომელიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს საუკეთესო შემადგენლობით ეწვია ნეიმარის თამადობით, მაგრამ მექსიკელებთან გადამწყვეტი შეხვედრის დათმობამ — 1:2 მათ ამჯერადაც შეუშალა ხელი ნავსის გატეხვაში.

რაც შეეხება ფრენბურთს, რუსებმა უიმედო მატჩი გადაარჩინეს ბრაზილიასთან — 0:2-ის შემდეგ 3:2.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# იქნებ ვცდებით?

**განვლილ სეზონში თბილისის „დინამო“, პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო სამეულში ვერ მოხვდა.**

ბუნებრივია, სახელოვანი კლუბის მესვეურებმა ძველი დიდების დასაბრუნებლად შოკურ თერაპიას მიმართეს, რომლის შედეგებიც მოგვიანებით გამოჩნდება, თუმცა ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდის ახალ ჩეხ თავკაცს დუშან უჰრინ უმცროსს მიზნის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

ვიდრე რუსთავში მოპოვებულ სასტარტო გამარჯვებაზე დავასველებთ სიტყვას, მოსამზადებელ ციკლში განხორციელებულ სასელექციო პოლიტიკაზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც ამბიციების საფუძვლიანობის შეფასებაში დაგვეხმარება.

**დაცვა.** მართალია, ერთი შეხვედრა შორს მიმავალი დასკვნების გაკეთებაში მეკავშირედ ვერ გამოგვადგება, მაგრამ მაინც გავრისკავთ და გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ეს „თეთრ-ლურჯთა“ შედარებით უსუსტესი რგოლია. ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ცენტრალურ ზონაში გამწესებული კვარაცხელია — ხიზანეიშვილის ასაკოვანი ტანდემის, ისე, განსაკუთრებით, მარცხენაფლანგელი რეხვიაშვილის თამაშმა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, პროფესიული განათლებით სულ სხვა ამპლუის წარმომადგენელია და ბევრისთვის გამოცანად რჩება, რატომ შეუცვალეს პროფილი და პოზიცია.

**ნახევარდაცვა.** მოგეხსენებათ, შუახაზი საფეხბურთო ანსამბლის ხერხემალია. ჰოდა, დავიჯეროთ, დილმელთა მესვეურები ვერ ამჩნევენ, რომ კოშკაძის გაშვების შემდეგ მათ განკარგულებაში მინდვრის ცენტრში ბურთის დამჭერი და პარტნიორთა იერიშების გამძღოლი ოსტატი აღარ დარჩა?

**თავდასხმა.** ძნელი სათქმელია, რა კრიტერიუმებით დაიმსახურა დინამოელთა შეფების ყურადღება ესტონეთიდან ჩამოყვანილმა ტარანის ტიპის ვეტერანმა გიგანტმა ვოსკობოინიკოვმა. იმედია, ტანმაღალ დებიუტანტს არ გაუჭირდება ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარ კოლექტივში ადაპტირება და დაარწმუნებს გულშემატკივრებს, რომ მასზე ტყუილად არ გაუციათ ავანსები.



რაც შეეხება მეკარე ლორიას, იგი სტაბილურობით არასდროს გამოირჩეოდა, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთხელ მოუწია სერიოზული საფრთხის აცილება და ამ ეპიზოდში პირნათლად გაართვა მასზე დაკისრებულ მისიას თავი.

**„მეტალურგი“ — „დინამო“ 0:1**

**გოლი:** ხმალაძე (38-ე წუთი).

**I ტურის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „კოლხეთი“ — „ჩიხურა“ 0:2, „სიონი“ — „ბათუმი“ 2:2, „ზესტაფონი“ — „მერანი“ 3:1, „ტორპედო“ — „ბაია“ 1:0.

**გიორგი შოთაძე**

⊙ წარდგინება

# საღამოს, სუფთა ჰაერზე, პროჟექტორების შუქზე...


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
1918-1921

**პრეზენტაციაზე როგორ არ ვყოფილვარ, მაგრამ ასეთ ორიგინალურზე, ასეთ გამორჩეულზე, თუ გნებავთ, „რომანტიკულზე“ — არა. სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის კოხტა ეზო, საღამოს სიგრილე, სუფთა ჰაერი, პროჟექტორების ბრდღვიალი... წარსადგენი წიგნის ტირაჟით გაწყობილი მაგიდები, რომლებთან მიმჯდარი თავაზიანი კოხტა გოგონები საჩუქრად გაწვდიან ნაშრომს... იქვე — „ფურშეტიზებული“ მაგიდები (უფურშეტოდ წარდგენა, აბა, ვის ეკადრება!..), სადაც ასევე თავაზიანად გემსახურებიან სიმპათიური ახალგაზრდები...**

საუბარია ანდრო კაჭარავასა და ალექსანდრე დაუშვილის საგულისყურო ნაშრომზე **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“, 1918-1921,** რომლის პირველივე გვერდები იპყრობენ თქვენს ყურადღებას. უნდა გამოვტყდე, მგონი, პირველად შემხვდა „ქვესათაურად“ ამგვარი რამ — (ადვილად საკითხავი წიგნი), ფრჩხილებში მით უფრო. პირველად ვნახე თავფურცელზე შეწყვილება „თბილისი — ატლანტა“ (იქვე თარიღი — 2012). შემდეგ გხვდებათ გულში ჩამწვდომი წარწერა „წიგნი ეძღვნება ყველა იმ მამულიშვილის ხსოვნას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა“ (ხომ არ ჯობდა, „ყველას“ გამო მრავლობითში თქმა — რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ? — **თ. ე.**).

**„ნაშრომში მდიდარი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის გააზრების საფუძველზე და უახლესი საარქივო მასალების გათვალისწინებით პოპულარული ფორმით გადმოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის, პოლიტიკური განვითარების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის საინტერესო და დრამატული ისტორია.**

**წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის“** — გვამცნობს ანოტაცია. ჩინებული წინათქმით აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე მკითხველს ატყობინებს, რომ ამ წიგნის დაწერის იდეა ეკუთვნის აშშ-ში მოღვაწე ექიმს ანდრო კაჭარავას; რომ ნაშრომში, ცნობილი ისტორიკოსის ალექსანდრე (ალეკო) დაუშვილის თანაავტორობით, დამაჯერებლადაა ასახული საქართველოს ისტორიის ერთობ რთული პერიოდი; რომ წიგნი ადვილად იკითხება („ქვესათაურის“ დადასტურება აკადემიკოსის ენა-პირით! — **თ. ე.**), კარგი ქართულითაა ნაწერი და მკითხველს სრულ წარმოდგენას უქმნის განსახილველი ისტორიის მეტად რთულ, მძიმე, მაგრამ დიდად საინტერესო პერიოდზე (აქვე სათქმელად, 91 წლის ჩვენი გამოჩენილი არქეოლოგი, მხცოვანი ძვირფასი ბატონი ოთარი მობრძანდა პრეზენტაციაზე და „დამატებით“, შთამბეჭდავი გამოსვლითაც გაგვახარა...).

მეორე სახელგანსმენილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი, ფრიად შინაარსიანი შესავალი სიტყვის შემდეგ, ჩვეული ოსტატობით წარუძღვა წარდგინების ოფიციალურ ნაწილს. გამომსვლელთა შორის გახლდათ მომხიბვლელი ქალბატონი სალომე გორგაძე, პრეზენტირებული წიგნის ერთ-ერთი ავტორის ანდრო კაჭარავას მეუღლე, რომელსაც სხვა სათქმელთა რიცხვში არ დავიწყებია გულითადი მადლობის გადახდა მუზეუმის დირექტორისათვის, პროფესორ დავით ლორთქიფანიძისათვის — ამგვარი შეკრების ორგანიზებაში უანგარო თანადგომისათვის (ჩვენს „საბაზრო-ეკონომიკურ“, „გაგადასახადებულ-გაფასიანებულ“ ხანაში ეს უბრალო ამბავი როდია — **თ. ე.**).

გულახდილობის ნებას თუ მომცემენ, გამოვტყდები, რომ არაერთ წარდგინებაზე ნამყოფმა პირველად ვნახე პრეზენტაციაზე მოსული და სიტყვით გამოსული პატივცემული კულტურის მინისტრი. ბატონმა ნიკამ დიდი კმაყოფილება გამოთქვა ასეთი ნაშრომის გამოჩენის გამო და სამინისტროს მხარდაჭერა აღუთქვა ავტორებს ინგლისური ვერსიის მომზადებასა და ამნაირი ხასიათის სხვა „ადვილად საკითხავი წიგნების“ დასტამბვაში.

ზემოთ „თბილისი-ატლანტას“ შეწყვილება ვახსენეთ. ამ „რებუსისა“ და სხვა „წარდგინებითი“ დეტალების გარშემო დალაპარაკება ვთხოვეთ პრეზენტაციის „მთავარ მოქმედ პირს“, პროფესორ ალეკო დაუშვილს.

— ანდრო კაჭარავაზე „გამიყვანა“ ბატონმა ოთარ ჯაფარიძემ, რომელსაც ის ენათესავება. ბატონი ანდრო გახლავთ ატლანტის ემორის უნივერსიტეტში შემავალი ვეტერანთა ჰოსპიტლის კარდიოლოგი, მედიცინის ამ სფეროში არაერთი სამეცნიერო შრომის ავტორი. 23 წელია, ოჯახთან ერთად აშშ-ში, ატლანტაში ცხოვრობს, იქიდან მხურვალედ პატრიოტობს სამშობლო საქართველოს, შვილებმა გვარიანად იციან ქართული. ბოლო 12 წელია, რაც თავის დარგში უნივერსიტეტის საუკეთესო პედაგოგად ითვლება სხვადასხვა გამოკითხვის შედეგად.

მოგეხსენებათ, ექიმები, არცთუ იშვიათად, საუცხოო მკვლევრებადაც ავლენენ თავს. ანდრო კაჭარავამ შეაგროვა დასავლეთში არსებული დიდძალი სპეციალური ლიტერატურა, მშვენივრად დაამუშავა და მომაწოდა. ასე ჩამოგვიყალიბდა ინტენსიური ურთიერთობა. ჩვენი შეთანხმების თანახმად, დავუმატე ჩემს მიერ ქართულ-რუსულ არქივებში მოძიებული მასალები, კერძოდ, მოსკოვურ არქივებშიც, სადაც 2004-2005 წლებში მივლინებით გახლდით. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი, მაშინდელი დიდი დახმარებისათვის, ჩვენს საპატრიარქოს, ჩვენს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, პირადად აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოს გურამ თევზაძეს...

აი, ასე, ამდენი მასალის საფუძველზე შეიქმნა ჩვენი ერთობლივი ნაშრომი. ვფიქრობ, გაგრძელდება ეს ამერიკულ-ქართული თანამშრომლობა.

**...თავს ნებას მივცემ მცირედი დამატებისა ბატონი ალეკოს ნაუბარზე: ადვილად საკითხავი წიგნი სულაც არ ნიშნავს, რომ ის ადვილადვე დაიწერა. ვფიქრობ, ამ პუბლიკაციაშიც გამოჩნდა, თუ რამხელა ნაყოფიერი გარჯა მოუხდათ ანდრო კაჭარავასა და ალექსანდრე დაუშვილს მზის სინათლეზე ეგზომ შთამბეჭდავი ნაშრომის გამოსატანად. ეს ერთი და სხვა არაერთი...**

**თამაზ ებანოიძე**

ხსოვნა

# რევაზ იაშვილი



საქართველოს ტექნიკური ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი ინჟინერი, პედაგოგი და მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორი **რევაზ იაშვილი**.

რ. იაშვილი დაიბადა 1927 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს, ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1950 წელს. 1951-1962 წლებში რ. იაშვილი მუშაობდა სხვადასხვა საწარმოში პასუხსაგებ თანამდებობებზე, სადაც ჩინებული საინჟინრო გამოცდილება შეიძინა. 1962 წელს იგი დაბრუნდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიისა და პროცესებისა და აპარატების კათედრაზე. 1966 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სანკტ-პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და არჩეულ იქნა დოცენტის თანამდებობაზე. 1973-74 წლებში რ. იაშვილი მივლინებული იყო შრი-ლანკაში ტექნოლოგიური ექსპერტის სტატუსით. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (1980-2003 წ.წ.) რ. იაშვილი სათავეში ედგა ზოგადი ქიმიური ტექნოლოგიისა და პროცესებისა და აპარატების კათედრას. 2003 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

რ. იაშვილს გამოქვეყნებული ჰქონდა 80-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, 12 სახელმძღვანელო; იყო რამდენიმე გამოგონებისა და პატენტის ავტორი, რომელთა მეტი წილი დანერგილი იყო წარმოებებში. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია დისერტაციები.

რ. იაშვილი შემკული იყო შესანიშნავი პიროვნული ღირსებებით. იყო ერუდირებული ინტელიგენტი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი.

წავიდა დიდებული ადამიანი და თან გაიყოლა უამრავი მეგობრის, კოლეგისა და აღზრდილის დიდი სიყვარული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის
ფაკულტეტი

# ემზარ ძირკვაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ემზარ ძირკვაძე**.

პროფესორი ემზარ ძირკვაძე დაიბადა 1959 წლის 5 თებერვალს. 1976 წელს დაამთავრა დიოკნისის საშუალო სკოლა. 1977-1982 წწ. სწავლობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტზე. 1984-1987 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი. წარმატებით დაიცვა დისერტაციაც.



ბატონი ემზარი წლების მანძილზე მუშაობდა მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: 1988 წლიდან 20 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში გაიარა ყველა საფეხური ლაბორანტიდან - ასოცირებულ პროფესორამდე. 2003-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის აგრობიზნესის სპეციალისტად. 2004-2005 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაციის - „მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია“ — აღმასრულებელი დირექტორი.

2006 წელს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 2008 წლიდან 3 წლის მანძილზე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი, შემდეგ კი - ერთი წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში ემზარ ძირკვაძე მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელ თანამდებობაზე. იგი იყო 2 გამოგონების, 8 მეთოდური მითითებისა და რეკომენდაციის და 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 2 სახელმძღვანელოს და 4 დამხმარე სახელმძღვანელოსი. ბატონი ემზარის ეს მიღწევები გარკვეულად იმ საერთაშორისო გამოცდილებას ემყარება, რაც მან უცხოეთის არაერთ ქვეყანაში (აშშ, გერმანია, იტალია...) სტაჟირებით და სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობით შეიძინა.

გაწეული ღვაწლისათვის ემზარ ძირკვაძე საქართველოს პრეზიდენტმა დააჯილდოვა ღირსების მედლითა (2002 წელი) და ღირსების ორდენით (2010 წელი).

ბატონმა ემზარმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის მოკლე დროის მანძილზე დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა კოლეგებში. მას იცნობდნენ როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, დახვეწილ პიროვნებას, პრინციპებისა და საქმის ერთგულს, პროფესიონალს, ენერგიით სავსე ადამიანს, მოსიყვარულე, მზრუნველ მამასა და მეუღლეს.

ემზარ ძირკვაძემ არც ისე დიდი ასაკის მიუხედავად, შეძლო თავისი კვალის დატოვება, რადგან სიკეთისა და სიყვარულისათვის იყო მოწოდებული. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამშრომლებსა და მეგობრებში.

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

⊙ ინფორმაცია

## ქართველი მეზღვაურები გაათავისუფლეს



**კვიპროსის** დროშით მცურავი გემი, რომელზეც ქართული ეკიპაჟი იმყოფებოდა, სამართალდამცველებმა მას შემდეგ დააკავეს, რაც სახელფასო დავალიანების გამო მეზღვაურები გაიფიცნენ და კაპიტნის უნებართვოდ ხომალდი დატოვეს.

ქართველმა დიპლომატებმა მეზღვაურებისთვის ადვოკატი აიყვანეს. სასამართლომ ქართველი მეზღვაურები გაამართლა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა და გემის მფლობელ კომპანიას დაგროვილი სახელფასო დავალიანების დაფარვა დაავალა.

## შეჯახება მსხვერპლით დასრულდა

**მაღალი** სისწრაფით მიმავალი „ნივის“ მარკის ავტომობილი თავდაპირველად ქვეითად მიმავალს, ხოლო შემდეგ მის კუთვნილ სატვირთო მანქანას დაეჯახა.

დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ 50 წლის აბრამ კოლიევი ადგილზე გარდაიცვალა.

მძიმედ დაშავდა „ნივაში“ მჯდომი ორი ახალგაზრდა მამაკაციც. ისინი მძიმე ტრავმებით თელავის საავადმყოფოდან კატასტროფის ბრიგადებმა თბილისში გადმოიყვანეს.

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

## ავარია რიკოთზე




**რიკოთის** უღელტეხილზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომელსაც აფეთქება მოჰყვა, მანქანის მძღოლი ემსხვერპლა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, კლდეზე შეჯახების შემდეგ ავტომანქანიდან არავინ გადმოსულა და, სავარაუდოდ, მძღოლი დაიღუპა.

ავტომანქანა მოძრაობდა თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით. დაღმართზე მართვა დაკარგა და კლდეს შეეჯახა, რის შემდეგაც მოხდა აფეთქება.

ინტერპრესნიუსი

## რისკის ფაქტორი

**მოსახლეობაში თვითმკურნალობის სენის ფართოდ გავრცელების ამბავი ჩვენში ყველასათვის კარგად ცნობილი ამბავია, თუმცა კი სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ასეა თითქმის მთელ მსოფლიოშიც. ბოლო დროს კი ამ სენმა კიდევ უფრო მეტი ძალით იფეთქა, რის მიზეზიც დაპატენტებული მედიკამენტების თავისუფალი გაყიდვა გახდა, რამაც ბევრს ძალიან მძიმე შედეგი მოუტანა.**

სხვადასხვა მონაცემით, ყოველწლიურად თვითმკურნალობის მიზეზით გარდაცვლილთა რიცხვი ავტოსაგზაო შემთხვევებში დაღუპულთა რიცხოვნობას სამჯერ მეტად ჭარბობს! ამ გარემოებით შეშფოთებული ექიმები თვითმკურნალობის რამდენიმე სერიოზულ შედეგს გამოყოფენ.

# წამალი მხოლოდ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით უნდა მივიღოთ



**გვერდითი მოვლენები.** არასწორი მოხმარებისას ნეგატიური მოვლენები ნებისმიერ წამალს შეიძლება მოჰყვეს და სხვადასხვა ფორმა მიიღოს. შემთხვევითი როდია, რომ **მედიკამენტოზურ საშუალებათა ექიმის დანიშნულების გვერდის ავლით მიღების შედეგად გვერდითი მოვლენები, სიხშირით, სიკვდილიანობის მეოთხე მიზეზად სახელდება!**

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ფართოდ გავრცელებული პოლიპრაგმაზია – ერთდროულად ხუთზე მეტი წამლის მიღება, რითაც ბევრნი, უფრო მეტად კი ხანდაზმული ადამიანები მოძალებული სხვადასხვა ავადმყოფობის გამკლავებას ცდილობენ. მიზეზი კი ისაა, რომ პრეპარატები ერთმანეთს შესაძლოა არ მიესადაგებოდნენ, ასევე ხშირია დოზირების არევა. ეს უკანასკნელი კი წონასა და ასაკს უნდა შეესაბამებოდეს: საშუალო, 70 კილოგრამი წონის კაცზე გათვლილი ჩვეულებრივი თერაპევტული დოზა ყველას არ ესადაგება.

**ალერგია წამლებზე.** ორგანიზმის ინდივიდუალური იმუნური პასუხი მედიკამენტის მიღებაზე, რაც, ფაქტობრივად, ამა თუ იმ წამალზე ალერგიის წარმოშობის მექანიზმს წარმოადგენს, ბოლომდე შესწავლილი არ არის. იგი არც წამლის დოზაზე, არც მისი მიღების ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ საავადმყოფოში მოსახვედრად კაცს აგრესიული ნივთიერების მიკროსკოპიული დოზაც ყოფნის.

**სხვებზე ხშირად წამალზე ალერგიას ანალგეტიკი, არასტეროიდი ანთების საწინააღმდეგო და პენიცილინის რიგის პრეპარატები იწვევენ. ალერგიის პროვოცირება ასევე შეუძლიათ წნევის დამწევ პრეპარატებსა და ვიტამინებსაც კი (სხვებზე ხშირად ეს B ჯგუფის ვიტამინების მოხმარებისას ხდება ხოლმე).**

**წამლის მიჩვევა.** საიმისოდ, რომ კაცი „სამკურნალო პრეპარატის ნარკომანი“ გახდეს, სულაც არ არის საჭირო მაინცდამაინც ფსიქოტროპული პრეპარატების ჭარბი მოხმარება. ახალი, პრობლემის „გამოსაჩხრეკად“ ზოგჯერ საკმარისია უბრალო თავის ტკივილის აბების ზედმეტი მიღება. ამ დროს ალერგია კოფეინთან და ბარბიტურატებთან ერთად ანალგეტიკების არასწორად მიღების შედეგად შეიძლება წარმოიშვას. ასეთივე შედეგი შეიძლება მოჰყვეს ცხვირში ძარღვების შემავიწროებელი პრეპარატების ხანგრძლივ ჩაწვეთებას. სისხლძარღვები მათ სწრაფად ეჩვევიან, შემდგომ კი სამკურნალო ნივთიერების სულ უფრო მეტ დოზას საჭიროებენ.

ავადმყოფობის ადეკვატური მკურნალობის არარსებობა, რომელიც ამის შედეგად თავისით ვითარდება და ახალ, მედიკამენტოზურ მკურნალობას ნაკლებად დაქვემდებარებულ ფორმებს იღებს. მათ შორის ეს ხშირად ხდება წამლების არასწორად მიღების შედეგად. მაგალითად, ანტიბიოტიკების უწესრიგო მიღება ახალი, მდგრადი შტამების წარმოშობას უწყობს ხელს, რის შედეგად თუ იმავე პაციენტს სერიოზული ინფექციური დაავადება შეეყრება, მისი განკურნვა გაცილებით ძნელია.

დაგვეთანხმებით, რომ ყველაფერი ეს საკმაო მიზეზია საიმისოდ, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემის წარმოქმნისთანავე წამლის შეძენა კი არა, არამედ კვალიფიციური სამედიცინო რჩევის მისაღებად სპეციალისტისთვის მიმართვაა საჭირო.

### ინფორმაცია თემაში

**სტატისტიკური მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში წამლების არასწორი მიღების შედეგად საავადმყოფოებში წელიწადში ორ მილიონზე მეტ კაცს აწვენენ! ამასთან, ლეტალური შედეგის გამომწვევი მიზეზების მიხედვით სამკურნალო პრეპარატები მეოთხე ადგილზე არიან. პირველი სამი ადგილი ამ საზარელ სიაში გულის სისხლძარღვთა დაავადებებს, ავთვისებიან სიმსივნეებსა და ინსულტებს უკავიათ, რის გამოც წელიწადში 100 ათასი კაცი კვდება.**

**ამ მხრივ ევროპაში მდგომარეობა ოდნავ უკეთესია. მაგალითად, სამედიცინო თვალსაზრისით ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, სამკურნალო პრეპარატების არასწორად მიღების შედეგად წარმოშობილ არასასურველ გერდით მოვლენათა წილი ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში 43 პროცენტს შეადგენს.**

ნინო ალექსანდრია

## ინფორმაცია

# სახალხო დამცველი მთავარ პროკურორს მიმართავს

**საქართველოს სახალხო დამცველმა მსჯავრდებულ ვ.ი.-ს მიმართ განხორციელებული უფლებადარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა.**

**როგორც სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, 1 აგვისტოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა 38-ე დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის ვ.ი.-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებული დაავადებულია ტუბერკულოზით და მიუხედავად ამისა, 14 დღის განმავლობაში განთავსებული ჰყავდათ 38-ე დაწესებულების სარდაფში.**

**— 2012 წლის 2 აგვისტოს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ 38-ე დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს ვ.ი.-ს. მისი თქმით, დაახლოებით ორი კვირის წინ მას შელაპარაკება მოუვიდა თავის თანასაკნელთან, რის გამოც 38-ე დაწესებულების თანამშრომელმა დასჯის მიზნით, ორი კვირის განმავლობაში განათავსა ე.წ. ბოქსში, სადაც მსჯავრდებულს არ ჰქონდა არც საწოლი, არც ლეიბი, არც გადასაფარებელი და ეძინა იატაკზე. მსჯავრდებულის გადმოცემით, ამ ხნის მანძილზე იგი ექიმს არ უნახავს, — ნათქვამია განცხადებაში.**

# ასე აუცილებელი იყო მსხმოიარე ვაზის გაჩეხვა?



**ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე ზედამხედველობის სამსახურმა ვაზი გაჩეხა, რასაც ქუჩის მცხოვრებლების პროტესტი მოჰყვა.**

**26 მაისის ქუჩის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ზედამხედველობის სამსახურს ვთხოვეთ, არ გაეჩეხათ და საკუთარი ხარჯებით გავამაგრებდით ვაზის ტალავერჰ, თუმცა ზედამხედველობის სამსახურმა გამწვანების თანამშრომლების დახმარებით ვაზი გაჩეხა. მოსახლეობა აღნიშნულ ფაქტს ბარბაროსობად აღიქვამს. როგორც ისინი აღნიშნავენ, ზედამხედველობის სამსახურს 3 თვით რომ გადაედოთ ავტოფარეხების დემონტაჟი, მსხმოიარე ვაზი აღარ გაიჩეხებოდა.**

**ვაზის ტალავერი ავტოფარეხების სხვენზე იყო განთავსებული. ბათუმის ზედამხედველობის სამსახურს ამხანაგობამ ეზოს კეთილმოწყობის თხოვნით ავტოფარეხების დემონტაჟი სთხოვა. ავტოფარეხების მეპატრონეები კომპენსაციის სახით 1000-დან 1500 ლარამდე თანხას მიიღებენ. თუმცა მოსახლეობის ნაწილი აღნიშნავს, რომ ავტოფარეხების დემონტაჟის შემდეგ არა ეზოების მოწყობა, არამედ კორპუსის მშენებლობაა დაგეგმილი.**

ინტერპრესნიუსი

## კადრი



რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**— წარმოგიდგენია, როგორი თავხედია? გუშინ მითხრა, მთელი ცხოვრება შენ შემოგწირეო! — ეუბნება დაშა დაქალს.**

**— აი, ნაძირალა! მერე შენ რას შვრები?**

**— მივატოვე საავადმყოფოში მისი მონახულება...**

* * *



**ვახტანგ კიკაბიძეს „კონტაქტში“ სამი განყოფილება აქვს: „ჩემი მეგობრები“, „ჩემი წლები“, „ჩემი სიმდიდრე“.**

* * *

**ძალების კრივზე უარესი მხოლოდ კაცების მხატვრული ტანვარჯიშია.**

* * *

**— იცი, კარგი შეგრძნებაა, როდესაც შეიძენ თუნდაც ყოვლად გამოუსადეგარ ნივთს, მაგრამ მაინც კმაყოფილი ხარ, რომ იგი გაქვს.**

**— ვიცი, სწორედ ამგვარად დავქორწინდი!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77; 599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24